ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობები და გამოწვევები

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია
ASSOCIATION OF YOUNG ECONOMISTS OF GEORGIA

2014 წელი

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადებულია **საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის** მიერ, **ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID)** და **ქალთა საინფორმაციო ცენტრის (WIC)** მხარდაჭერით პროექტის **"ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისთვის"** ფარგლებში.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.

შინაარსი

შესავალი **4**

ქალთა სოციალური მდგომარეობა და აქტივობა საქართველოში **5**

ზოგადი მდგომარეობა 5

სიღარიბე 6

განათლება 7

ქალის როლი შინამეურნეობებში 10

ქალთა ჩართულობა სასოფლო სამეურო საქმიანობაში 11

ქალთა დასაქმება - არსებული მდგომარეობა და შესაძლებლობები **13**

დასაქმება და უმუშევრობა 13

დასაქმება და ხელფასები სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორში 17

ქალთა სამეწარმეო შესაძლებლობები **26**

ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსი 26

შრომითი პოლიტიკა და პრაქტიკა 28

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა 28

განათლება და პროფესიული სწავლება 32

ბიზნესგარემო და ბიზნესის დაწყების შესაძლებლობა 34

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები **36**

შესავალი

წინამდებარე სამაგიდე კვლევა მიზნად ისახავს ქალთა ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას და სამეწარმეო შესაძლებლობების გამოვლენას. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია სოფლად მცხოვრები ქალების წინაშე მდგარი გამოწვევების იდენტიფიკაციაზე, ასევე რეკომენდაციების შემუშავებაზე, რომლებიც ხელს შეუწყობს უშუალოდ მათ ეკონომიკურ გაძლიერებას.

ანგარიში მომზადებული პროექტის "ქალები, როგორც აქტორები ცვლილებებისა და გაძლიერებისთვის" ფარგლებში. პროექტს ახორციელებს ქალთა საინფორმაციო ცენტრი USAID-ის მხარდაჭერით პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამშვიდობო და კონფლიქტის პრევენციის პროცესებში ქალთა სრული მონაწილეობის მხარდასაჭერად.

ქალთა საინფორმაციო ცენტრი პროექტს ახორციელებს შემდეგ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით: საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია (საეა), ქალთა ფონდი "ტასო" (TF), ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი (IWPR) და აფხაზეთში გალის რეგიონის კონფლიქტის ზონაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია.

პროექტი ხორციელდება ხუთ სამიზნე რეგიონში: თბილისი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი და გალის რეგიონი.

პროექტის მიზანია პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამშვიდობო და კონფლიქტის პრევენციის პროცესებში ქალთა სრული მონაწილეობის მხარდაჭერა.

პროექტი მხარს უჭერს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას და იძულებით გადაადგილებული, კონფლიქტით დაზარალებული და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალების მიერ, მათი პოლიტიკური მონაწილეობის, ეკონომიკური მდგრადობის და მშვიდობის დამყარების პროცესში მონაწილეობის გაზრდის გზით.

პროექტი სამ ურთიერთდაკავშირებულ შედეგზე მუშაობს:

- **მოსალოდნელი შედეგი 1:** ქალთა გაზრდილი პოლიტიკური მონაწილეობა;
- **მოსალოდნელი შედეგი 2:** ქალთა გაზრდილი ეკონომიკური ჩართულობა და თვითუზრუნველყოფა;
- **მოსალოდნელი შედეგი 3:** სამშვიდობო და კონფლიქტის პრევენციის პროცესებში ქალთა ჩართულობა და მონაწილეობა.

პროექტი გაზრდის ქალთა ეკონომიკურ ჩართულობას და თვითუზრუნველყოფას, ადგილობრივი სოფლის მაცხოვრებელი, იძულებით გადაადგილებული და ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი ქალებისთვის მცირე გრანტებზე, ბიზნესკონსულტაციებზე, სამუშაო ინსტრუქტაჟსა, საბანკო სისტემებსა და მიკრო-საფინანსო ინსტიტუტებზე წვდომის უზრუნველყოფის საშუალებით.

ქალთა სოციალური მდგომარეობა და აქტივობა საქართველოში

ზოგადი მდგომარეობა

2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობა 4 490 500 ადამიანს შეადგენს, მათი 52% (2 349 100 პირი) ქალია. აქვე აღსანიშნავია, რომ სოფლად მთლიანი მოსახლეობის 48% ცხოვრობს. საინტერესოა, რომ ქალთა რაოდენობა მეტია მამაკაცების რაოდენობაზე 45 წლის და ზევით ასაკობრივ ჯგუფებში, ხოლო 0-დან 45 წლამდე მოსახლეობაში მამაკაცთა რაოდენობა მცირედით (23 200-ით), მაგრამ მაინც უსწრებს ქალთა რაოდენობას.

დიგრამა #1: **ქალებისა და მამაკაცების წილი მთლიან მოსახლეობაში ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით** *(2014 წელი)*[1]



ერთი შეხედვით საქართველოში ქალი - როგორც ეკონომიკურად აქტიური სამუშაო ძალა, მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდეს ქვეყნის განვითარებაში. თუმცა ეროვნული კულტურა და ტრადიციული დამოკიდებულებები საკმაოდ განსხვავებულად წარმოგვიდგენს ქალის ფუნქციებს ოჯახსა და განსაკუთრებით სამეწარმეო საქმიანობის კუთხით. აღნიშნული ტრადიციული მიდგომები განსაკუთრებით მყარადაა მოკიდებული რეგიონებში და შესაბამისად იმთავითვე ტრადიციულად განსაზღვარვს ქალის როლს და ფუნქციებს. გაეროს განვითარების პროგრამის 2013 წლის ანგარიში „საზოგადოებრივი დამოკიდებულები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში" აღნიშნულია, რომ გამოკვლევებმა აჩვენეს „საქართველოში ჯერ კიდევ მყარია ტრადიციული შეხედულებები გენდერულ როლებზე: ქალის ფუნქციაა შვილების მოვლა და აღზრდა, საშინაო საქმეების კეთება, ხოლო კაცის - ოჯახის ეკონომიკური უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ოჯახის მარჩენალთა 30% ქალია, მოსახლეობას მიაჩნია, რომ

[1] *წყარო:* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ეს არ არის იდეალური მდგომარეობა და თუ იქნება შესაძლებლობა, უმჯობესია ქალი არ მუშაობდეს ან ნაკლებად დატვირთული - „ქალისთვის შესაფერისი“ სამუშაო ჰქონდეს”. ასევე, „ქალი ქმრის მორჩილი უნდა იყოს და დაუთმოს კაცს ლიდერის პოზიცია სხვადასხვა ასპარეზზე”.

ცნობიერების შეცვლა და უარის თქმა მანკიერ დამოკიდებულებებზე (რომლებსაც საუკუნოვანი ფესვები აქვს) ყველაზე რთული გამოწვევაა. ამასთან, აღნიშნული დამოკიდებულებები, როდესაც თანაბარზომიერად მისაღებია ყველა თაობისა და სქესის პირებისათის, რთულია ვისაუბროთ რაიმე საკანონმდებლო ცვლილებების ან სხვა წმინდა ეკონომიკური ხასიათის ინიციატივების ეფექტიანობაზე. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირველი რიგის და ყველაზე აქტუალური საკითხი არის ზეგავლენა მთლიანი მოსახლეების ცნობიერებასა და დამოკიდებულებებზე, რათა მოხდეს ქალთა ეკონომიკური როლის გაძლიერება, ასვე არსებული და ახალი შესაძლბელობების სრულყოფილი რეალიზება.

ქალთა როლის გაზრდისა და გაძლიერების პერსეპექტივების გამოსავლენად აუცილებლია, მეტ-ნაკლებად სრულად მოხდეს მათი არსებული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის ანალიზი.

სიღარიბე

სიღარიბის მაღალი დონე კვლავაც რჩება ქვეყნის ძირითად სოციალურ გამოწვევად. 2014 წლის აგვისტოს თვის მონაცემებით საარსებო შემწეობას საქართველოში იღებს 142 062 ოჯახი, ჯამში 426 088 პირი[2], რაც მთლიანი მოსახლეობის 36,5%-ს შეადგენს. საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა 55% ქალია. ბუნებრივია, სიღარიბე ისეთი სოციალური ტვირთია რომელიც თანაბარზომიერად მძიმეა როგორც ქალებისათვის, ასვე მამაკაცებისათვის. თუმცა, ექსპერტთა ნაწილს მიაჩნია, რომ სიღარიბე აფერხებს ქალთა აქტიურობას საჯარო სივრცეში და არ უტოვებს მას შესაძლებლობას იფიქროს და განახორციელოს რაიმე ტიპის სამეწარმეო ინიციატივა. დღეს სახელმწიფოს არ გააჩნია ძლიერი სურვილი და მოტივაცია ამ კუთხით რაიმე ქმედითი ღონისძიებები გაატაროს, ამასთან, საჯარო ფინანსების სიმწირის გამო ქალთა ბევრი პრობლემა მოუგვარებელი რჩება. აღნიშნული ტიპის პრობლემები და ქალთა მძიმე მატერიალური სტატუსი კი, თავის მხრივ, ქალთა პასიურ მდგომარეობას იწვევს, რაც გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებაში ერთერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა. ქალთა ორგანიზაციების მიერ 2012 წლის აგვისტოში ჩატარებული გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ქალთა პასიური მდგომარეობის” ასახსნელად რამოდენიმე ექსპერტმა განსხვავებული განმარტება გააკეთა, რომელიც პირდაპირ ქართულ კულტურასა და ტრადიციულ ღირებულებებს უკავშირდება. ექსპერტთა მოსაზრებით, საქართველოში დომინანტური პატრიარქალური ღირებულებები, ნორმები და ტრადიციებია გაბატონებული, რაც შესაძლოა ქალების პასიურობის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი იყოს. სწორად, ტრადიციული შეხედულებების გამო საქართველოში ქალთა მოძრაობაც არ არსებობს. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ გაჭირვება ძალიან უარყოფითად აისახება ქალებზე და მათ სურვილზე იყვნენ სახვადასხვა სოციალურ თუ პოლიტიკურ პროცესებში ჩართულები. შედეგად, ეკონომიკურად დაბალ საფეხურზე მყოფი ქალები ჯერ საკუთარი მატერიალური პრობლემების მოგვარებას ლამობენ და მხოლოდ ამის შემდეგ

[2] *წყარო:* სოციალური მომსახურების სააგენტო;

შეიძლება გაუჩნდეთ დრო და სურვილი, რომ საზოგადოებრივ და პოლიტიკის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩაერთონ და აქტიურობა გამოიჩინონ სხვადასხვა სოციალური საკითხების მოგვარებისთვის. მაგრამ, მხედველობაში აუცილებლად უნდა ვიქონიოთ ის ფაქტი, რომ შესაძლოა მატერიალური პრობლემების გადაჭრამ მაინც არ გამოიწვიოს ქალების გააქტიურება".[3]

ნებისმიერ შემთხვევაში უდაოა, რომ სიღარიბე არის ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი, რომელიც აფერხებს ქალის, როგორც აქტიური მოქალაქისა და მეწარმის განვითარების შესაძლებლობებს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიღარიბის რეალური შემცირების / აღმოფხვრის ერთადერთი გზა ეკონომიკურ გააქტიურებაზე გადის. შედეგად, ისეთი პროგრამების ამუშავება, როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე, რომელიც ხელს შეუწყობს ღარიბი ქალების სამეწარმეო საქმიანობებში ჩართვას, ერთის მხრივ შეამცირებს სიღარიბეს, და მეორეს მხრივ უზრუნველყოფს ქალების როგორც საზოგადოების სრულფასოვანი და თანაბარუფლებიანი წევრების განვითარებას. აღნიშნული ტიპის პროგრამები უნდა ითვალისწინებდეს როგორც ფინანსურ ხელშეყობას, ასევე გარკვეული სამეწარმეო უნარების ფორმირებასა და განვითარებას.

განათლება

განათლება და მასზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ასახვას პოვებს ეკონომიკური შესაძლებლობების იდენტიფიკაციასა და რეალიზაციაზე. ამ მიმართულებით მნიშვნელოვან დისკრედიტაციას გენდერულ ჭრილში ადგილი არ აქვს. ამასთან, გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში" ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ განათლების უფლების შეფასებისას საქართველოში საზოგადოება უფრო მეტად თანასწორობის მომხრეა. გამოკითხულთა უმრავლესობა (72%) არ იზიარებს მოსაზრებას, რომ „საუნივერსიტეტო განათლება უფრო მნიშვნელოვანია ბიჭისთვის, ვიდრე გოგოსთვის". თუმცა, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი (26%) მიიჩნევს, რომ მამაკაცს უფრო მეტად სჭირდება უმაღლესი განათლება. საშუალო განათლება სჭირდება როგორც გოგონას, ისე ბიჭს (79%-ის აზრით). შესაბამისად, უფრო მცირე რაოდენობა (20%) თვლის, რომ ბიჭისთვის საშუალო განათლების მიღება უფრო მნიშვნელოვანია. ერთ-ერთი არგუმენტი, რომელიც დასახელდა ბიჭისთვის განათლების მიღების უფრო მეტი საჭიროების ასახსნელად კაცის მარჩენალის როლს უკავშირდება. მიიჩნევა, რომ ზრდასრულმა მამაკაცმა უნდა აიღოს საკუთარ თავზე ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფის ფუნქცია, შესაბამისად, განათლება მას უფრო მეტად სჭირდება რადგან განათლება სამსახურის პოვნის წინაპირობას წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა რიცხოვნება უმაღლეს სასწავლებლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2013 წელს 2011 წელთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებელი თითქმის 24%-ით გაიზარდა, მაშინ როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა რაოდენობა იგივე პერიოდებში 2,7%-ით შემცირდა.

[3] *წყარო*: გენდერული თანაწორობის პოლიტიკის შეფასება საქართველოში ქალთა ორგანიზაციების მიერ. 2012 წლის აგვისტო. მკვლევარი ელენე ჯაფარიძე;

ცხრილი #1: **მოსწავლეთა/სტუდენტთა რაოდეობა შესაბამის სასწავლებლებში**[4]

	2011	2012	2013
მოსწავლეთა რიცხოვნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, (ათასი)	568.5	559.4	553.0
სტუდენტთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში,(ათასი)	95.1	109.5	117.7
დოქტორანტების რაოდენობა, (ერთეული)	4266	3040	3213

საინტერესოა, სტუდენტთა/მოსწავლეთა განაწილება გენდერულ ჭრილში. მიუხედავად იმისა, რომ სასკოლო ასაკის პირთა რაოდენობა გოგონებისა და ბიჭების მიხედვით თითქმის ერთგვაროვანია - მთლიანი მოსახლეობის 8% და 9% შესაბამისად, საკმაოდ განსხვავებულია ფაქტობრივი მონაცემები მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 2012-2013 სასწვალო წელს 28 433-ით მეტი ბიჭი მოსწავლე ირიცხებოდა (რაც თითქმის 10%-ით მეტია გოგონათა რაოდენობაზე). ამასთან საყურადღებოა, რომ პროფესიული სასწავლებლების სტუდენტთა უმეტესობა - 61% ბიჭია. ამის ახსნა გარკვეულწილად იმითაც შეიძლება, რომ პროფესიული სასწველებლები უფრო მეტად ისეთი პროფესიების შესწავლას სთავაზობენ მომხმარებლებს, რომლებიც სტერეოტიპულად მამაკაცის პროფესიებად აღიქმება, მაგალითად სამშენებლო-სარემენტო საქმიანობები; თუმცა პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობების შექმნა ძალიან მნიშვნელოვანია გოგონებისთვისაც და ცალსახაა, რომ ამ მიმართულებით დამატებითი ღონისძიებებია გასატარებელი როგორც სახელმწიფოს, ასევე არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ფონდების მხრიდან.

განსაკუთრებით აქტუალურია აღნიშნული საკითხი, როდესაც საქმე ეხება სოფლად მცხოვრები ქალების ეკონომიკურ განვითარებას. რეალურად მათი დასაქმებისა და სამეწარმეო საქმიანობების შესაძლებლობების განვითარებისა და დივერსიფიკაციის „გასაღები" უფრო მეტად პროფესიული განათლებაში დევს, ვიდრე უმაღლესში. ამისათვის საჭიროა, ერთის მხრივ მოხდეს პროფესიულ სასწავლებლებში ისეთი მიმართულებების დანერგვა, რომლებიც სწორედ ქალებს მისცემს დასაქმებისა და საკუთარი საქმიანობების დაწყების შესაძლებლობას. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ სოფლად მცხოვრები გოგონებისათვის შესაძლოა გარკვეულ სირთულეებთან იყოს დაკავშირებული დიდ ქალაქებში გადასვლა თუნდაც მოკლევადიანი სასწავლო კურსების მისაღებად. ამ თვალსაზრისით ადგილობრივ თვითმმართველობებს განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლიათ. ეფექტიანი იქნებოდა გარკვეული სასწავლო კურსების ადგილზე მიწოდების ორგანიზება, რაც გაზრდიდა სოფლად მცხოვრები ქალების ხელმისაწვდომობას პროფესიულ სწავლებაზე. ამ გზით შესაძლებელი გახდება ადგილობრივ დონეზე პრიორიტეტული პროფესიების მიღება და შესაბამისად ქალებისათვის გაიზრდება დასაქმების პერსპექტივა.

[4] *წყარო:* საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

ცხრილი #2: **მოსწავლეთა და სტუდენტთა რიცხოვნობა გენდერულ ჭრილში** *(2012/ 2013 წლები)*[5]

	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
მოსწავლეთა რიცხოვნობა	ერთეული		%	
სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში	242 026	264 633	48	52
კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში	23 465	29 291	44	56
სახელმწიფო პროფესიულ და საზოგადოებრივ კოლეჯებში	2 282	3 526	39	61
სტუდენტების რიცხოვნობა				
სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში	45 225	34 784	57	43
კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში	16 031	13 493	54	46

მიუხედავად იმისა, რომ უმაღლეს განათლებაზე მოთხოვნა და მისი მიღების შესაძლებლობაც იზრდება სახელმწიფო პროგრამებისა თუ სხვადასვა ინიციატივების გავლენით, ოფიციალური სტატისტიკის შესაბამისად დასაქმებულთა შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მაინც საშუალო ზოგადი განთლების პირებზე მოდის.

დასაქმებული მოსახლეობის ყველაზე დიდი წილი (39%) საშუალო ზოგადი განათლების მქონეა. უმაღლესი განათლების მქონე დასაქმებული პირების წილი 29%-ს შეადგენს, ხოლო საშუალო პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულთა - 21%-ია.

დიაგრამა #2: **დასაქმებულთა განაწილება განათლების დონის მიხედვით** *(2012 წელი)*[6]



[5] *წყარო:* საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
[6] *წყარო:* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

ქალის როლი შინამეურნეობებში

სოფლად მცხოვრები ქალების ეკონომიკური განვითარების შეფასებისას აუცილებელია მათი როლისა და შესაძლებლობების შეფასება შინამაურნეობებში. სხვადასხვა კვლევები ნათელს ხდის, რომ საქართველოს სოფლებში შინამეურნეობების უფროსებად უმეტესად მამაკაცები მოიაზრებიან.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, 2009-2012 წლების პერიოდში შინამეურნეობების საშუალოდ 69%–ში კაცები წარმოადგენენ უფროსებს, ხოლო 31%–ში ქალები. ამ მხრივ ქალაქად სიტუაცია ოდნავ განსხვავებულია ამავე პერიოდში და კაცები შინამეურნეობის საშუალოდ 62%–ში წარმოადგენენ უფროსებს, ხოლო ქალები - 38%–ში.

დიაგრამა #3: **შინამეურნეობების განაწილება შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით სოფლად 2009 - 2012 წლებში** *(%)*[7]



2012 წელს იმ შინამეურნეობებში, სადაც ქალი არის უფროსი შემოსავლების ოდენობა დაახლოებით 184 ლარით ანუ 25%–ით ნაკლებია ვიდრე იქ სადაც შინამეურნობის უფროსი კაცია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ განსხვავება შეინიშნება, როგორც ფულად ასევე არაფულადი შემოსავლის წყაროებში. შინამეურნეობებში სადაც უფროსს ქალები წარმოადგენენ ფულადი შემოსავლები 23%-ით ნაკლებია ვიდრე იქ სადაც უფროსები კაცები არიან, ხოლო არაფულადი შემოსავლები 36%-ით ნაკლებია. თუმცა 2012 წელს შემოსავლების ერთ სულზე გადანაწილებით 1.5 ლარით მეტი აქვს იმ შინამეურნეობას სადაც უფროსი ქალია. ეს ფაქტი აიხსენება იმითაც, რომ შინამეუნეობების წევრების რაოდენობა ქალი უფროსის შემთხვევაში ნაკლებია ვიდრე იმ შინამეუნოებებში სადაც კაცი წარმოაგენს უფროსს.

აღსანიშნავია, რომ 2012 წელს შინამეუნეობის ერთ სულზე შემოსავალმა სადაც უფროსი ქალია მცირედით გადააჭარბა, შინამეურნეობაში ერთ სულზე შემოსავალს სადაც შინამეურნეობის უფროსი კაცია.

[7] *წყარო:* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სტატისტიკური პუბლიკაცია 2013: ქალი და კაცი საქართველოში;

დიაგრამა #4: **საშუალო თვიური ფულადი შემოსავლების და ტრანსფერების განაწილება ერთ შინამეურნეობაზე, შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით** *(2012 წელი)*[8]



2012 წელს ფულადი შემოსავლების სტრუქტურა გასხვავებულია შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით. იმ შინამეურნეობებში სადაც ქალები არიან უფროსები უფრო მეტ დახმარებებს იღებენ – 6%–ით, ასევე უფრო მეტ ფულს საჩუქრად – 4%–ით. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ოჯახებში სადაც ქალია უფორსი ფულადი შემოსავლები დაქირავებული შრომიდან – 5%–ით ნაკლებია, თვიდასაქმებიდან 5%–ით და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან 3%–ით ნაკლები. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ის ოჯახები სადაც ქალია შინამეურნეობის უფროსი უფრო მეტ დახმარებებს იღებენ და ნაკლებად არიან ეკონომიკურად დამოუკიდებლები, ანუ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები ამ შემთხვევაში ნაკლებია.

ქალთა ჩართულობა სასოფლო სამეურო საქმიანობაში

სოფლად მცხოვრები ქალების უმეტესობა პირდაპირი ან ირიბი ფორმით ჩართულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში. 2009 წლიდან მოყოლებული მეურნეობათა რაოდენობა წლების მანძილზე უცვლელია და 815 000 შეადგენს. 2009 წლიდან შეინიშნება კაცი ხელმძღვანელების რაოდენობის ზრდა ქალი ხელმძღვანელების რაოდენობის შემცირების ხარჯზე. 2012 წელს მეურნობის ხელმძღვანელი ქალების რაოდნეობა 241 000 იყო ხოლო კაცების - 574 000. 2012 წლის მონაცემნემებით მეურნეობათა ხელმძღვანელებს შორის 70% კაცი იყო და შესაბამისად 30% - ქალი.

[8] *წყარო:* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სტატისტიკური პუბლიკაცია 2013: ქალი და კაცი საქართველოში;

დიაგრამა #5: **მეუნეობათა კლასიფიკაცია მეურნის ან მეურნეობის ხელმძღვანელის სქესის მიხედვით** [9]



2012 წელს მეურნეობათა კლასიფიკაციის მიხედვით ქალი ხელმძღვანელების რაოდნობა 25 წელს ქვევით 900–ია, 26-39 წლის ასაკობრივ ჯგუფში 8 700, 40-59 წლის ასაკში - 68 500 და 60–ის ზევით - 162 800.

მეურნეობათა ხელმძღვანელის გენდერულ ჭრილში ანალიზისას ჩანს, რომ ქალი ხელმძღვანელების წილი 60 წელს ზევით ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე მაღალია და 41%-ს აღწევს, მაშინ როცა იგივე მაჩვენებელი თუნდაც 26-39 წლის ჯგუფში მხოლოდ 16%-ია. იმის გათვალისიწნებით, რომ მამაკაცების სიცოცხლის ხანგრძლივობა საქართველოში თითქმის 9 წლით ნაკლებია ქალებისაზე, შესაძლოა ქალები ითავსებენ გარდაცვლილი კაცი ხელმძღვანელის ფუნქციებს და ამიტომაც შეინიშნება 60 წლის ზევით ასაკობრივ ჯგუფში ქალ ხელმძღვანელთა ასეთი მაღალი მაჩვენებელი.10

ცალსახად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განსაკუთრებით სოფლად შინამერნეობებში ქალთა შესაძლებლობები არ/ვერ რეალიზდება, ასევე საკმაოდ შეზღუდულია მათი, როგორც შინამეურნეობების ხელმძღვანელის როლი. როგორც წესი მათ ეს ფუნქცია იმ შემთხვევაში ეკისრებათ, თუ ოჯახში არ არის მამაკაცი. ამდენად, აუცილებლია, ქალთა უნარებისა და შესაძლებლობების გაძლიერება, ასევე დამოკიდებულებისა და აღქმის შეცვლა, რათა მათ შეძლონ და თამამად აიღონ საკუთარ თავზე მეურნეობების ხელმძღვანელობის ვალდებულება და ასევე იკისრონ ოჯახების უფროსის ფუქნცია.

ამ მიმართულებით, CEDAW კომიტეტის მიერ გამოცემული რეკომენდაციებში სახელმწიფოს მიმართ, ხაზგასმულია ქალთა ეკომონიკური გაძლიერების საკითხი და გაცემულია რეკომედაცია - სახელმწიფომ უზრუნველყოს სოფლად მცხოვრები ქალების ადექვატური წვდომა სოციალურ, ჯანდაცვის და სხვა საბაზისო სერვისებთან, ეკონომიკურ შესაძლებლობებთან და თანაბარი პირობები მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით მიიღონ მონაწილეობა სოფლის მეურნეობის სფეროში გადაწყვეტილების მიღებაში11.

---

[9] *წყარო:* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სტატისტიკური პუბლიკაცია 2013: ქალი და კაცი საქართველოში;

[10] *წყარო:* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სტატისტიკური პუბლიკაცია 2013: ქალი და კაცი საქართველოში;

[11] ალტერნატიული ანგარიში საქართველოში ქალთა უფლებებისა და გენდერის საკითხების შესახებ (CEDAW); ივნისი 2014;

ქალთა დასაქმება - არსებული მდგომარეობა და შესაძლებლობები

დასაქმება და უმუშევრობა

უმუშევრობა კვლავაც რჩება ქვეყნის წინაშე მდგარ მთავარ სოციალურ გამოწვევად. ამასთან, ქალთა უმუშევრობა ხასითდება დამატებითი ბარიერებითა და ფაქტორებით, როგორებიცაა კულტურული დამოკიდებულებები, ბავშვის მოვლა-პატრონობის ტრადიციული ვალდებულება, განსხვავება ხელფასებში და ა.შ. აღნიშნული გარემოებები კიდევ უფრო ართულებს ქალთა დასაქმების შესაძლებლობებს საქართველოში.

დიაგრამა #6: **უმუშევრობის დონე**[12]



ოფიციალური მონაცემებით უმუშევრობის მაჩვენებელი ქალთა შორის შედარებით მცირეა ვიდრე მამაკაცებში. ამასთან, უმუშევრობის დონის მაჩვენებელი ქალთა შორის 2013 წელს 12.3% შეადგინა, რაც 2010 წელთან შედარებით 2.2 პუნქტით ნაკლებია. იგივე მაჩვენებელი კაცებში ასევე კლებით ხასიათდება და 2013 წელს 16.5%-მდე ჩამოვიდა (2010 წელს უმუშევრობა კაცებში 17.9% იყო.)

თუმცა, საინტერესოა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლობის განაწილება, 2012 წლის მდგომარეობით.

ცხრილი #3: **დასაქმება და უმუშევრობა**[13]

15 წლის და უფროსი ასაკის ქალების განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით (ათასი)						
	2010		2011		2012	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	907.9	1037.1	915.6	1 043.6	947.7	1 081.4
დასაქმებული	776.7	851.4	795.3	868.9	816.9	907.2
დაქირავებული	300.2	318.3	297.9	334.1	303.0	359.6
თვითდასაქმებული	475.6	531.5	493.2	532.2	509.7	544.3
გაურკვეველი	0.8	1.6	4.3	2.5	4.2	3.2

[12] *წყარო*: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
[13] *წყარო*: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

უმუშევარი	131.2	185.6	120.3	174.8	130.8	174.2
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	728.1	355.3	725.3	320.6	703.4	301.8
უმუშევრობის დონე (%)	**14.5**	**17.9**	**13.1**	16.7	13.8	16.1
აქტიურობის დონე (%)	**55.5**	**74.5**	**55.8**	76.5	57.4	78.2
დასაქმების დონე (%)	**47.5**	**61.2**	**48.5**	63.7	49.5	65.6

2012 წელს ეკონომიკურად აქტიურ ქალთა რიცხოვნობა 4.4%-ითაა გაზრდილი, ხოლო კაცთა - 4.3%-ით. დასაქმებული ქალების რიცხოვნობა 2012 წელს 2010 წელთან შედარებით 5.2%-ით გაიზარდა, ხოლო კაცების - 6.5%-ით. 2012 წელს დასაქმებულთა 47.4%-ს ქალები, ხოლო 52.6%-ს კაცები შეადგენდნენ.

დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების გენდერულ ჭრილში განხილვისას აღსანიშნავია, რომ 2012 წელს 2011 წელთან მიმართებაში უმუშევრობის დონე მამაკაცებში 0.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა, ხოლო ქალებში - 0.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციულად ქალებში უმუშევრობის დონე ნაკლებია ვიდრე კაცებში. ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ დაუსაქმებელი ქალების უმრავლესობა დიასახლისია და, შესაბამისად, არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არ ხდება დიასახლისების შრომის ანაზღაურება. ქალებში არააქტიურობის დონე თითქმის ორჯერ აღემატება კაცებში ანალოგიურ მაჩვენებელს. 2012 წელს ქალებში არააქტიურობის დონემ შეადგინა 42.6%, ხოლო კაცებში 21.8%. ამგვარად, კაცებთან შედარებით ქალებში დაბალია როგორც აქტიურობის დონე, ასევე დასაქმების დონე.

საგულისხმოა, რომ ქალებში უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალ ნიშნულს 15-24 ასაკობრივ ჯგუფში აღწევს. ხოლო დასაქმების მაჩვენებელი 70%-ს ცილდება 45-54 ასაკობრივ ჯგუფში.

ცხრილი #4: **ქალთა განაწილება ეკონომიკური სტატუსისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით** *(2012 წელი)*[14]

	(ათასი)				
	15-24	25 -34	35 - 44	45 - 54	55 +
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	75,0	150,1	201,5	224,4	296,7
დასაქმებული	47,9	114,3	169,8	198,7	286,3
დაქირავებული	25,2	62,0	79,7	70,8	65,2
თვითდასაქმებული	22,4	51,5	89,3	126,6	219,8
გაურკვეველი	0,2	0,7	0,7	1,2	1,3
უმუშევარი	27,1	35,9	31,6	25,8	10,4
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	186,5	186,5	55,7	56,1	304,6
უმუშევრობის დონე (%)	**36,2**	**23,9**	**15,7**	11,5	3,5
აქტიურობის დონე (%)	**28,7**	**59,9**	**78,3**	80,0	49,3
დასაქმების დონე (%)	**18,3**	**45,6**	**66,0**	70,8	47,6

დასაქმებულთა ყველაზე მეტი წილი საშუალო ზოგადი განათლების მქონე პირებზე მოდის. დასაქმებულ ქალთა 39%-ს, ხოლო მამაკაცთა 41%-ს მიღებული აქვს ზოგადი განათლება. იგივე მაჩვენელი უმაღლესი განათლების მქონე ქალებისათვის შეადგენს 29 %-ს , ხოლო კაცებისათვის - 41%-ს.

[14] *წყარო*: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

ცხრილი #5: **დასაქმებულთა განაწილება განათლების დონის მიხედვით**[15]

	ათასი					
	2010		2011		2012	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
დაწყებითი ან საბაზო განათლება	69,7	72,3	60,5	63,0	56,6	61,5
საშუალო ზოგადი	273,7	347,1	293,5	362,3	316,4	371,3
დაწყებითი პროფესიული, სახელობო	25.1 5	50,0	18,1	48,4	19,0	52,9
საშუალო პროფესიული	169,4	128,9	174,9	138,8	171,4	153,3
უმაღლესი	231,1	248,5	174,9	248,0	237,1	259,7
განათლების გარეშე/არაიდენტიფიცირებული	7,6	4,5	17,7	8,3	16,3	8,5
სულ	**776,7**	**851,4**	**795,3**	**868,9**	**816,9**	**907,2**

ქალთა შორის 15-24 წლის ასაკობრივი ჯგუფი ყველაზე მგრძნობიარეა დასაქმების მიმართ, მაშინ როდესაც მამაკაცების იგივე ჯგუფში დასაქმების მაჩვენებლი ზრდის ტენდენციით ხასიათდება და 2012 წელს 94%-ს მიაღწია, ქალებისათვის 2010-2012 წლებში თითქმის უცვლელია და 48%-მდე მერყეობს.

დიაგრამა #7: **დასაქმებულთა განაწილება 15-24 ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით***(%)*[16]



2012 წლის მონაცემების მიხედვით საქართველოში მცხოვრები 15 წლის და უფროსი ასაკის დაქირავებულ ქალთა წილი მთლიან ქალთა დასაქმებაში შეადგენს 32%-ს, თვითდასაქმებულ ქალთა რიცხოვნობა შეადგენს 54%-ს, ხოლო უმუშევარ ქალთა რიცხოვნობა შეადგენს 14%-ს.

[15] *წყარო*: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
[16] *წყარო*: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

დიაგრამა #8: **15 წლის და უფროსი ასაკის ქალების განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით** *(%)*[17]



2012 წლის მონაცემებით თვითდასაქმებულ ქალთა 1%-ი მეწარმეა და ყავს დაქირავებულები, 38.9%-ს არ ყავს დაქირავებული პირები, 60.1%–ი ოჯახურ საწარმოში ან ახლობლებისთვის უსასყიდლოდ მომუშავე პირია. კაცების შემთხვევაში ეს პროცენტული მაჩვენებლები შესაბამისად გადანაწილებულია შემდეგნაირად: 3.2%, 71% და 25.7%. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქალები მამაკაცებთან შედარებით ნაკლებად არიან დაკავებულნი საკუთარი საქმიანობით და უფრო მეტად ერთვებიან მოხალისეობრივ არაანაზღაურებად საქმიანობაში. ამის ახსნა შესაძლებელია რამოდენიმე ფაქტორით, მაგალითად ქალები ვერ მიდიან რისკზე, რათა დაიწყონ საკუთარი საქმიანობა, ქალები მეტად ითავსებენ დიასახლისის როლს და ვალდებულებას და მხოლოდ თავისუფალ დროს ერთვებიან სამეურნეო საქმნიანობაში. ქალები ეხმარებიან ოჯახის უფროსებს. შინამეურენობების დაახლოებით 70%–ში ოჯახის უფროსს კაცი წარმოადგენს.[18]

დიაგრამა #9: **თვითდასაქმებულთა განაწილება მომუშავის სტატუსის მიხედვით 2012 წელს** *(ათასი)*



[17] *წყარო:* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

[18] *წყარო:* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; სტატისტიკური პუბლიკაცია 2013: ქალი და კაცი საქართველოში;

დასაქმება და ხელფასები სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორში

დაქირავებით დასაქმებულ ქალთა 44%-ი საჯარო სექტორში მუშაობს, ხოლო კერძო სექტორში შესაბამისად 56%-ი. ამასთან, საინტერესოა, რომ 2011 წლამდე ქალები უფრო მეტად სახელმწიფო სექტორში იყვნენ დასაქმებულები, თუმცა არასახელმწიფო სექტორში დასაქმებულ ქალთა რაოდენობა ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა და 2013 წლის მონაცემებით აღნიშნულ სექტორში 21%-ით მეტი ქალი იყო დასაქმებული.

დიაგრამა #10: **სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორში დაქირავებით დასაქმებულ ქალთა საშუალო რიცხოვნობა** *(ათასი)*[19]



ქალებისთვის განსაკუთრებით რთულია პარლამენტში, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში დეპუტატ ქალთა რაოდენობა არასოდეს აჭარბებდა 10%-ს (1991, 1992, 1995, 1999, 2003 და 2008 წლების მოწვევის პარლამენტში (უმაღლესი საბჭო) ქალთა რაოდენობა შესაბამისად შეადგენდა 6.8%, 5.6%, 7%, 6.4%, 9.4% და 5%). ამჟამად, 150 დეპუტატიდან 17 ქალია და მათი წილი 11,3%-ს შეადგენს.

საკანონმდებლო ინიციატივების მეშვეობით მიღწეული გარკვეული პროგრესის მიუხედავად, თვითმმართველობის ორგანოებში ქალთა რიცხვი ყოველი მომდევნო არჩევნების შემდეგ მცირდებოდა; 1998 წლის ადგილობრივ არჩევნებში დაფიქსირებული 14%-ის შემდეგ, ქალთა პროცენტული მაჩვენებელი 2002 წელს 12%-ზე ჩამოვიდა. 2006 წლის ოქტომბრის არჩევნებში 1750 არჩეული პირიდან მხოლოდ 195 (11.14%) გახლდათ ქალი. ეს მაჩვენებელი არც 2010 წლის ადგილობრივ არჩევნებზე გაუმჯობესებულა - ქალები ადგილობრივ არჩეულ ხელისუფალთა მხოლოდ 11%-ს წარმოადგენდნენ. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგადაც არ შეცვლილა მდგომარეობა. პირდაპირი გზით არჩეულ იქნა 71 მერი და გამგებელი, მათ შორის მხოლოდ 1თვითმმართველი თემის არჩეული გამგებელია ქალი. რაც შეეხება პროპორციული და მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე არჩეული წევრებს, ქალთა წილი 11,8%-ია.

[19] *წყარო:* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღმასრულებელ ორგანოებშიც მცირეა ქალთა წარმომადგენლობა. 2012 წლის აგვისტოში 19 მინისტრიდან ხუთი იყო ქალი. 2014 წელს ქალ მინისტრთა რაოდენობა მხოლოდ 3-ია. შესაბამისად პროცენტული მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირდა.

დიაგრამა #11: **დასაქმებულთა სტატისტიკა გენდერულ ჭრილში დაწესებულებების სახეების მიხედვით**[20]



საჯარო დაწესებულებების მიხედვით დასაქმებულთა გენდერული ბალანსი განსხვავებულია. სამინისტროების ცენტრალურ და სახელმწიფო მინისტრების აპარატებში დასაქმებულთა 78,6 % მამაკაცია. თუმცა ამ ტიპის საჯარო დაწესებულებებში, დასაქმებულ მამაკაცთა მაღალი პროცენტი კვლავ განპირობებულია ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებულ მამაკაცთა სიმრავლით. ძალოვანი სტრუქტურების გარეშე სამინისტროების ცენტრალურ და სახელმწიფო მინისტრების აპარატებში დასაქმებულთა უმრავლესობა - 56,5%-ი ქალია. მსგავსი მდგომარეობაა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებში დასაქმებული თანამშრომლების მაგალითზე.

ზოგადად, სსიპ-ებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებში დასაქმებულთა შორის 67,2%-ი მამაკაცია, თუმცა ძალოვანი სტრუქტურების გამოკლებით დასაქმებულებში ქალები ჭარბობენ და მათი მაჩვენებელი 51,7 %-ს შეადგენს.

განსხვავებული მდგომარეობაა ადგილობრივ თვითმმართველობებში (მერია, გამგეობა). მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე აღნიშნულ დაწესებულებებს ძალოვანი სტრუქტურები არ გააჩნიათ, მამაკაცთა რაოდენობა საგრძნობლად აღემატება ქალთა რაოდენობას. დასაქმებულ მამაკაცთა მაჩვენებელი 67,5%-ს შეადგენს.

[20] *წყარო*: თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI);

ცხრილი #6: **საჯარო სექტორში დასაქმებულთა სტატისტიკა გენდერულ ჭრილში დაწესებულებების სახეების მიხედვით** *(2013 წელი)*

	კაცი		ქალი	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
სამინისტროების ცენტრალურ და სახელმწიფო მინისტრების აპარატებში	20199	78.6	5504	21.4
ძალოვანი სტრუქტურების გარეშე	1451	43.5	18885	56.5
სსიპ-ები და საქვეუწყებო დაწესებულებები	20583	67,2	10061	32.8
ძალოვანი სტრუქტურების გარეშე	7938	48.3	8487	51.7
ადგილობრივი თვითმმართველობი	7038	67.5	3383	32.5
სხვა საჯარო დაწესებულებები	4859	62.6	2905	37.4
ძალოვანი სტრუქტურების გარეშე	2066	44.1	2624	55.9

საქართველოს საჯარო დაწესებულებებში ხელმძღვანელ პოზიციებზე (განყოფილების უფროსი და ზედა პოზიციები) დასაქმებული თანამშრომლების შესახებ 168 საჯარო დაწესებულების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულია 9 250 პირი, რომელთაგან უმრავლესობას მამაკაცები წარმოადგენენ. ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებული მამაკაცების რაოდენობაა - 7245, ხოლო ქალების - 2005.[21].

2014 წელს ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებმა, ალტერნატიული ანგარიში გააგზავნეს CEDAW კომიტეტში, სადაც ხაზგასმული იყო ქალთა ჩართულობის სიმცირე როგორ ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ სფეროში. CEDAW კომიტეტის მიერ გამოცემული რეკომენდაციებში სახელმწიფოს მიმართ, აღნიშნულია რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს ქალთა სრული და თანაბარი მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განსაკუთრებით მაღალ და გადაწყვეტილების მიმღებ დონეებზე, მათ შორის ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებში. განსაკუთრებით, რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოს, შემოიღოს სავალდებულო კვოტები პოლიტიკური პარტიებისთვის, რათა მნიშვნელოვნად გაიზარდოს ქალთა წარმომადგენლობა როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებში. გარდა ამისა, კომიტეტი რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოს, ჩართოს ქალები იმ სამოქმედო გეგმებისა და პოლიტიკის განხორციელებაში, რომლებიც მიზნად ისახავს კონფლიქტების გადაჭრას, ასევე ამ მხრივ, ხელი შეუწყოს ქალთა მონაწილეობას მაღალი დონის შეხვედრებში[22].

2012 წლის მონაცემებით ბიზნესსექტორში დასაქმებულია 504 400 პირი, მათგან 38% ქალია და შესაბამისად 62% - მამაკაცი. ბიზნესსექტორში დასაქმებულ ქალთა 57,5% თბილისზე მოდის, ყველაზე დაბალი წილი კი - გურიის, ასევე რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებზე. დასაქმებულთა მაღალი შრომის ანაზღაურებით ქ.თბილისი, აჭარის, მცხეთა-თიანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონები გამოირჩევიან. დასაქმებულ ქალთა შრომის ანაზრაურებამ ქ.თბილისში 672,4 ლარი, აჭარის ა.რ.-ში - 423,3, მცხეთა მთიანეთში - 345.7,

[21] *წყარო:* „საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში“ . კვლევის ანგარიში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში ფარგლებში, გაეროს ერთობლივი პროგრამა, თბილისი 2013

[22] ”ალტერნატიული ანგარიში საქართველოში ქალთა უფლებებისა და გენდერის საკითხების შესახებ (CEDAW)” – მომზადებულია ქალთა უფლებებისა და გენდერის სფეროში მომუშავე 13 არასამთავრობო ორგანიზაციისა და ქალთა 2 ქსელის მიერ; საქართველო, ივნისი 2014;

ხოლო ქვემო ქართლის რეგიონში –362,9ლარი შეადგინა. დასაქმებულ კაცთა შრომის ანაზღაურება აღნიშნულ რეგიონებში შესაბამისად: 1098,5; 777,4; 821,6 და 823,6 ლარით განისაზღვრა.

ცხრილი #7: **ბიზნესსექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება რეგიონების მიხედვით**[23]

	დასაქმებულთა რაოდენობა, ათასი		შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება, ლარი	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
საქართველო	**191,2**	**313,2**	**523,4**	**915,8**
ქ.თბილისი	**110,0**	**177,4**	**672,4**	**1098,5**
აჭარის ა.რ.	**14,6**	**23,4**	**423,3**	**777,4**
გურია	**1,7**	**2,8**	**229,0**	**462,5**
იმერეთი	**16,7**	**28,2**	**301,1**	**603,5**
კახეთი	**7,2**	**12,2**	**252,5**	**546,9**
მცხეთა-მთიანეთი	**3,3**	**5,0**	**345,7**	**821,6**
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	**1,0**	**1,9**	**197,9**	**520,0**
სამეგრელო-ზემო სვანეთი	**11,9**	**19,0**	**270,1**	**605,2**
სამცხე-ჯავახეთი	**4,4**	**6,5**	**241,0**	**566,7**
ქვემო ქართლი	**12,6**	**24,1**	**362,9**	**823,6**
შიდა ქართლი	**7,6**	**11,9**	**225,4**	**491,6**

მსხვილ საწარმოებში დასაქმებულთა მხოლოდ 34%-ია ქალი. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესსეტორში დასაქმებულ ქალთა ნახევრზე მეტი მსხვილ საწარმოებზე მოდის. მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა 43% და 42% შესაბამისად ქალები არიან.

დიაგრამა #12: **ბიზნესსექტორში დასაქმებულთა წონა საწარმოს ზომის მიხედვით**



[23] *წყარო:* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სავარაუდოდ აღნიშნული პროპორციები გამომდინარეობს იქიდან, რომ საქართველოში მსხვილი საწარმოები ისეთ დარგებში (როგორებიცაა სატრანსპორტო სფერო, მძიმე მრეწველობა და ა.შ.) ფუნქციონირებენ, სადაც ძირითადად მაინც ე.წ. მამაკაცის პროფესიებია უფრო მეტად მოთხოვნადი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მაღალი საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება ქალებს მაინც მსხვილ საწარმოებში აქვთ და 687,5 ლარს შეადგენს, მაშინ როდესაც მცირე საწარმოში იგივე მაჩვენებელი მხოლოდ 281,5 ლარია.

ქალისა და კაცის საშუალო თვიური ანაზღაურებას შორის ყველაზე დიდია სხვაობა მცირე საწარმოებში. მამაკაცები აქ შედარებით დაბალ ანაზღაურებას იღებენ 569,3 ლარს, თუმცა მაინც ქალებთან შედარებით 102%-ით მეტს. მსხვილ საწარმოებში კი მამაკაცების ანაზღაურება ქალების 56%-ით ჭარბობს, ხოლო საშუალოებში - 78%-ით.

ცხრილი #8: **ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა და შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება საწარმოს ზომის მიხედვით** *(2012 წელი)*

	დასაქმებულთა რაოდენობა, ათასი		**შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება, ლარი**	
	ქალი	**კაცი**	**ქალი**	**კაცი**
საქართველო	**191,2**	**313,2**	**523,4**	**915,8**
მსხვილი საწარმო	97,8	187,8	687,5	1072
საშუალო საწარმო	34,2	47,9	437,6	776,9
მცირე საწარმო	59,3	77,5	281,5	569,3

საქმიანობის სახეების მიხედვით ანალიზისას ჩანს, ზოგადად საშუალო თვიური ანაზღაურება საფინანსო საქმინობაშია 1402,3 ლარი, მას მოყვება სახელმწიფო მმართველობა - 1031,2 ლარით და ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება - 919 ლარით. ყველაზე დაბალია ანაზღაურება განათლებისა (355,1 ლარი) და სასტუმროებსა და რესტორნების (397,5 ლარი) დარგებშია. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ სფეროში როგორც წესი ქალები უფრო აქტიურად არიან წარმოდგენილი.

ზოგადად, 2012 წელს ქალების საშუალო თვიურმა ხელფასმა 517,9 ლარი შეადგინა, რაც 27%-ით ნაკლებია საშუალო წლიურ მაჩვენებელზე და 40%-ით ნაკლები მამაკაცების ანაზღაურებაზე. სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემებისა და ექსპერტთა ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი არის ის, რომ ქალები ნაკლებად მუშაობენ მმართველ და შესაბამისად მაღალანაზღაურებად პოზიციებზე. ამასთან, გასათვალისიწინებელია ისიც, რომ ქალები მეტად არიან დასაქმებულები ისეთ დარგებში, სადაც ზემოთ მოცემული ცხრილიდანაც ჩანს, რომ დაბალია საშუალო ანაზღაურება, მათ შორის განათლება, ჯანდაცვა, მომსახურების სხვა სფეროები.

ცხრილი #9: **დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების და სქესის მიხედვით** *(2012 წელი)*

დასახელება	სულ	ქალი	კაცი
სულ	**712,5**	**517,9**	**859,6**
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	424,6	375,7	438,7
თევზჭერა, მეთევზეობა	388,9	154,0	414,2
სამთომოპოვებითი მრეწველობა	874,5	574,7	910,5
გადამამუშავებელი მრეწველობა	623,0	438,5	706,0
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	919,9	892,7	926,0
მშენებლობა	890,8	611,5	908,3
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	650,0	478,7	791,1
სასტუმროები და რესტორნები	397,5	342,2	497,9
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	943,4	759,1	1002,6
საფინანსო საქმიანობა	1402,3	1153,8	1777,2
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	843,5	655,4	929,3
სახელმწიფო მმართველობა	1031,2	944,2	1062,6
განათლება	355,1	331,7	434,4
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	599,5	515,3	796,1
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	602,1	481,2	713,6

ქალთა და კაცთა ხელფასებს შორის საგრძნობი განსხვავება მთელ მსოფლიოში შეინიშნება. Eurostat-ს ამ ფენომენის საზომად გენდერული სახელფასო სხვაობა (Gender Pay Gap – GPG) აქვს. ეს ინდიკატორი წარმოადგენს მამაკაცისა და ქალის საშუალო საათობრივ ხელფასებს შორის სხვაობას შეფარდებულს მამაკაცის საშუალო საათობრივ ხელფასთან. მათივე მონაცემების მიხედვით, 2011 წელს ქალები მამაკაცებთან შედარებით 16.2%-ით ნაკლებს გამოიმუშავებდნენ საათში. ეს სხვაობა იცვლება ქვეყნების მიხედვით: ყველაზე ნაკლები სლოვენიაშია დაფიქსირებული (2.3%), ყველაზე მეტი კი – ესტონეთში (27.3%). მსოფლიო ბანკის ანგარიში „Development Report on Gender Equality“ სამოცდაოთხი განვითარებადი და განვითარებული ქვეყნის შესახებ წარმოადგენს მონაცემებს და ასკვნის, რომ ქალის ხელფასი საშუალოდ 8-დან 48%-მდე ნაკლებია მამაკაცის ხელფასზე. ეს სხვაობა უფრო დიდია დაბალშემოსავლიან ქვეყნებში. საქართველოში 2012 წელს ქალების ანაზღაურება მამაკცებთან შედარებით 40%-ით ნაკლები იყო. ასეთი მაღალი განსხვავება „სტაბილურად" ნარჩუნდება ბოლო 12 წლის განმავლობაში.

დიაგრამა #13: **დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი** *(2000-2012წლები)*



როგორც მონაცემებიდან ჩანს, ქალთა მდგომარეობა როგორც დასაქმების, ასევე ანაზღაურების თვალსაზრისით არცთუ ისე სახარბიელოა საქართველოში. აღნიშნული საკითხის ანალიზისას აუცილებელია ასევე კულტურული ფაქტორების და მოსახლეობის დამოკიდებულებების გათვალისიწინება და შესაბამისად ადექვატური ზომების მიღება და სხვადასხვა ინიციატივების განხორციელება, რათა აღნიშნული მაჩვენებლების სხვაობა ქალებისა და მამაკეცებისათვის მეტად შემცირდეს.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისიწნებით აუცილებელია მოსახლეობის დამოკიდებულებების ანალიზი, რათა სწორად დაიგეგმოს ესა თუ ის ინიციატივა / სახელმწიფო პროგრამა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების თვალსაზრისით. საინტერესოა, რომ ერთის მხრივ CEDAW-ს აღსრულების კვლევა საქართველოში (ზარდიაშვილი და სხვები, 2011) აჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობის 60% თვლის, რომ ქალები მეტად უნდა ჩაერთონ ეკონომიკის სფეროში.[24]

ქალთა დასაქმების და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების გაძლიერებას მნიშვნელოვნად აფერხებს საზოგადოების ტრადიციული დამოკიდებულებები. ამის ნათელი მაგალითია „საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში“ - კვლევის ანგარიშში მოცემული შედეგები. კვლევა აჩვენებს, რომ წარმოდგენები ოჯახში ქალისა და კაცის ფუნქცია-მოვალეობებთან დაკავშირებით საკმაოდ ტრადიციულია. ქართულ საზოგადოებას ახასიათებს გარკვეული ოჯახური იერარქია და სუბორდინაცია ოჯახის წევრებს შორის, რომელიც ქალისა და კაცის როლებზე სტერეოტიპულ, ტრადიციულ და, ხშირ შემთხვევაში, პატრიარქალურ წარმოდგენებს ეფუძნება. ერთ-ერთი ასეთი წარმოდგენა, რომელიც ფუნდამენტურად შეიძლება მოვიაზროთ ქართული ოჯახისთვის, ეხება კაცის, როგორც ძირითადი შემომტანის, მარჩენალის როლს.

[24] *წყარო:* ზარდიაშვილი, ჯავახიშვილი, დელემენჩუკი, აბრამიშვილი, კუპრავა-შარვაშიძე (2011). კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ CEDAW- ს აღსრულების კვლევა საქართველოში. მაწილი პირველი, თბილისი

მიიჩნევა, რომ კაცი უნდა იყოს ოჯახის თავი და მან უნდა აიღოს საკუთარ თავზე ოჯახის კეთილდღეობაზე ზრუნვა ფინანსური თვალსაზრისით. იმაზე, რომ ოჯახში მასკულინური დომინაცია მიიჩნევა პრიორიტეტულად მეტყველებს ის ფაქტი, რომ მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის აზრით, **იდეალურ შემთხვევაში ოჯახის მარჩენალი კაცი უნდა იყოს (88 %),** მაშინ, როდესაც მოსახლეობის მხოლოდ 1% თვლის, რომ ეს ფუნქცია ქალმა უნდა შეითავსოს. 11% მიიჩნევს, რომ მამაკაცსა და ქალს თანაბრად უნდა შეჰქონდეთ წვლილი ოჯახის რჩენაში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებული განსხვავება არაა ქალაქის და სოფლის ტიპის დასახლებებს შორის. ქალაქის მოსახლეობის 86%, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებების 90% მიიჩნევს, რომ ოჯახის მარჩენალი კაცი უნდა იყოს. თუმცა, საინტერესოა, რომ რეალობის შეფასებისას გამოკითხულები აფიქსირებენ, რომ საქართველოს ოჯახებში სიტუაცია მათი წარმოდგენილი იდეალისგან განსხვავდება - კვლევის მონაწილეების 34% თვლის, რომ საქართველოს ოჯახებში დღესდღეობით ოჯახის მარჩენალი ქალია.

საქართველოში ოჯახი არის ის ექსკლუზიური სფერო, სადაც აუცილებელია მოხდეს ქალის თვითრეალიზაცია მის მიერ ოჯახის დიასახლისისა და დედის როლის შეთავსების შედეგად. ქალისათვის ოჯახის მნიშვნელობა მჟღავნდება, უპირველეს ყოვლისა, უმრავლესობის (61%) მიერ გაზიარებულ აზრში, იმის თაობაზე, რომ **ქალი უფრო ბავშვის გაზრდითა და სახლის მოვლით უნდა იყოს დაკავებული და არა პროფესიული წინსვლით.** ამ მოსაზრებას უფრო მეტად მამაკაცები იზიარებენ - 72%, ვიდრე ქალები - 52%. გამოკითხულთა საკმაოდ დიდი ნაწილი (92%) იზიარებს მოსაზრებას, რომ **ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ცხოვრებაში არის ოჯახზე ზრუნვა.** აღნიშნულ დებულებას ეთანხმება ან სრულიად ეთანხმება ქალების 91% და მამაკაცების 93%. ამავე დროს კვლევა აჩვენებს, რომ გამოკითხულთა 79 % იმ აზრს იზიარებს, რომ **ქალი უფრო მეტად ოჯახით ფასობს, ვიდრე სამსახურში წარმატებით.** გამოკითხულთა უმრავლესობა (66%) ეთანხმება დებულებას, რომ **ყველასთვის უმჯობესია, როცა კაცი მუშაობს, ხოლო ქალი სახლს უვლის.** ამ შემთხვევაშიც უფრო მეტი კაცი (73%), ვიდრე ქალი (61%) იზიარებს ამ თვალსაზრისს. ასევე გამოკითხულთა უმრავლესობა (72%) თვლის, რომ **კაცის საქმეა მუშაობა და ოჯახის შემოსავლით უზრუნველყოფა, ხოლო ქალის მოვალეობაა სახლის და ოჯახის მოვლა.** აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს ქალების 66%, ხოლო მამაკაცების 80%. როგორც კვლევის შედეგები ცხადყოფს, **ქართული ტრადიციული აღქმები და ჩვეულებები ქართველ ქალს ხატავს როგორც მორჩილ ცოლს, დიასახლისსა და დედას.** ქალის სამსახური და კარიერა ნაკლებად მნიშვნელოვნად ითვლება. მოიაზრება, რომ ქალის სრული რეალიზაცია შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ მის მიერ ოჯახის შექმნის და მეუღლისა და დედის როლის შეთავსების შედეგად, მაშინ, როდესაც კაცის შემთხვევაში კარიერა და ოჯახი ან ერთნაირად მნიშვნელოვანია ან კარიერას უფრო დიდი წონა აქვს. შესაბამისად, სოციალურ დონეზე ქალს მოეთხოვება, რომ კაცის მორჩილი იყოს, მისი სურვილის შესაბამისად მოიქცეს და საკუთარი სურვილები და მოთხოვნილებები უკანა პლანზე გადაწიოს. ამგვარი აღქმები ზოგადად

დამახასიათებელია კაცის მიერ დომინირებულ, პარტიარქალურ საზოგადოებაში და საქართველოც სწორედ ამგვარ საზოგადოებად მიიჩნევა.[25]

შესაბამისად, ქალთა დასაქმების გაზრდის, მათი ეკონომიკური გაძლიერებისათვის გასატარებელი ღონისძიებებისა და პროგრამების ეფექტიანობისათვის, წმინდა ეკონომიკური ხასიათის ინიციატივები საკმარისი ვერ იქნება. აუცილებელია უშუალოდ ქალებისათვის თვითშეფასების, საკუთარი შესაძლობლობების რწმენის მნიშვნელოვანი ამაღლება. კიდევ უფრო რთულია გამოწვევები, რომელიც სტერეოტიპებისა და მანკიერი ტრადიციული დამოკიდებულებების აღმოფხვრას უკავშირდება. ქალთა შესაძლებლობის გაძლიერებისა და სრულყოფილი რეალიზაციისათვის აუცილებელი პირობაა, რომ ინიციატივა თვითონ ქალებმა გამიოჩინონ.

[25] *წყარო:* „საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში“ . მომზადებულია ეისითის მიერ გაეროს ერთობლივი პროგრამის“ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში. თბილისი 2013.

ქალთა სამეწარმეო შესაძლებლობები

ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების ინდექსი

არსებული სამეწარმეო შესაძლებლობების რეალიზაცია ქმნის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების და შესაბამისად სიღარიბის შემცირების პერსპექტივას. ამასთან, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება დამატებით იძლევა ქალთა დისკრიმინაციის შემცირებისა და მათი, როგორც ეკონომიკურად აქტიური ძალის, მეტად სრულყოფილად ჩართულობის შესაძლებლობას.

ზოგადად, საქართველოში საკმაოდ ხელსაყრელი ბიზნესგარემოა. უფრო მეტიც, ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული რეფორმების შედეგად, სამეწარმეო საქმიანობის დაწყება უაღრესად გამარტივებულია. ამასთან, მნიშვნელოვნად შემცირდა ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობა, სხვა ქვეყნებთან შედარებით საკმაოდ დაბალია გადასახადებიც. წმინდა საკანონმდებლო თვალსაზრისით ბიზნესგარემო საქართველოში გამართულია და არ შეიცავს მნიშვნელოვან დისკრიმინაციულ რეგულირებას ქალებთან მიმართებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოზიტიურ ცვლილებებად შეგვიძლია აღვიქვად 2013 წელს შესული ცვლილებები საქართველოს შრომის კოდექსში, სადაც სხვა ცვლილებებთან ერთად ასევე შეიცვალა დეკრეტული შვებულების დღეების და ანაზაღაურების რაოდენობა, აღნიშნული ცვლილებების კანონპროექტის მომზადებაში ქალთა საინფორმციო ცენტრმა აქტიური მონაწილეობა მიიღო. მიუხედავად პოზიტიური ცვლილებებისა, კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება ტერმინი „თანაბარი შრომის“ არ არსებობა, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ კოდექსით არ არის აღიარებული თანაბარი შრომისთვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპი. აღნიშნული გარემოება ხშირ შემთხვევაში დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს ქალებს[26].

ქალთა სამეწარმეო შესაძლებლობების შეფასებისა და მათი გაზრდის პერსპექტივების გამოვლენისათვის აუცილებელია იმ კატეგორიებისა და ფაქტორების გამოვლენა, რომელიც რეალურად ქმნის სამეწარმეო გარემოს.

ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების გლობალური ინდექსი ზომავს ქალთა ეკონომიკურ აქტივობას. ინდექსი პირველად ჟურნალ The Economist-ის ანალიტიკური გუნდისა და მსოფლიო ბანკის გენდერული პროგრამის თანამშრომლობის შედეგად, 2010 წლის ივნისში გამოქვეყნდა. ქალების ეკონომიკურ შესაძლებლობებს აფასებს 5 მსხვილი კომპონენტის მიხედვით – შრომის პოლიტიკა და პრაქტიკა; ფინანსებზე ხელმისაწვდომობა; განათლება და პროფესიული სწავლება; ქალთა სამართლებრივი და სოციალური სტატუსი და ზოგადი ბიზნესგარემო. ეს კომპონენტები, თავის მხრივ, უფრო დეტალურ ინდიკატორებს მოიცავს. ინდიკატორები ზომავს ქალების სხვადასხვა – მათ შორის, საპენსიო ასაკის, სამუშაოს ტიპის არჩევის, ბანკიდან კრედიტის გამოტანის, საშუალო განათლების მიღების და სხვა კუთხით დისკრიმინაციის ხარისხს. The Economist-ის შეფასებით, ყველა ამ ფაქტორს დიდი გავლენა აქვს შრომითი ბაზრის ფორმირებაზე და პროდუქტიულობაზე.

[26] CEDAW დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მეოთხე და მეხუთე გაერთიანებული პერიოდული ანგარიშების შესახებ” – 2014 წელი;

The Economist-მა ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების 2012 წლის ინდექსი გამოაქვეყნა. საქართველოს მაჩვენებელი ორივე – მსოფლიო და რეგიონის – საშუალო ინდექსზე მაღალია. კვლევის შეფასებით, ქალები ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ის ფაქტი, რომ ქალები მამაკაცებთან ერთად უფრო აქტიურად ერთვებიან ეკონომიკურ ცხოვრებაში, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდაზე დადებითად აისახება. კვლევის მონაცემებით, ევროპაში, 1995 წლიდან მშპ-ის წლიური ზრდის 25% სწორედ ქალთა გაზრდილ ეკონომიკურ აქტივობაზე მოდის. საქართველო მსოფლიოს 128 ქვეყანას შორის 59-ე ადგილზე მოხვდა, და მიიღო 54,5 ქულა შესაძლო 100-დან. იმისთვის რომ ქვეყანამ რეიტინგში მაღალი პოზიცია დაიკავოს, ქალებისთვის თანაბრად უნდა უზრუნველყოფდეს დასაქმებას, ფინანსებზე წვდომას, განათლებას და პროფესიულ სწავლებას. ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოებაში ქალის სამართლებრივი და სოციალური სტატუსი და ზოგადი ბიზნესგარემო. ინდექსის მიხედვით, საქართველოში ყველა ეს პირობა უკეთესად სრულდება, ვიდრე მის უშუალო მეზობელ ქვეყნებში – სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი და თურქეთი.

საქართველო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში მე-18 ადგილზეა. კვლევის შეფასებით, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ყველა ქვეყანაში ქალებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა საკანონმდებლო დონეზე წლიდან წლამდე უმჯობესდება. მაგალითად, უმრავლეს ქვეყნებში არსებობს კანონები, რომლებიც კრძალავს დისკრიმინაციას დასაქმების, საკუთრების უფლების, ჯანდაცვის და სხვა სფეროებში. თუმცა, კანონების აღსრულება და კონტროლი მაინც პრობლემად რჩება. კანონმდებლობით თუ მისი აღსრულებით, საქართველო ყველა უშუალო მეზობელ ქვეყანაზე წინაა.

The Economist-ის 2012 წლის ინდექსის მიხედვით, გლობალურად, ქალები ეკონომიკურად საშუალოდ უფრო აქტიურები არიან, ვიდრე წინა წელს იყვნენ. პრობლემური სფეროა ქალთა განათლება, განსაკუთრებით – ღარიბ ქვეყნებში, სადაც ზოგან სამართლებრივი შეზღუდვები არსებობს, ზოგგან კი ქალების განათლებას და, შესაბამისად, მათ ეკონომიკურ აქტივობას კულტურული ნორმები აფერხებს.

ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების 2012 წლის ინდექსში პირველ სამეულში შედიან: შვედეთი, ნორვეგია და ფინეთი. მათი პირველობა ძირითადად განპირობებულია დასაქმების, საშუალო განათლების ხანგრძლივობის და ზოგადი ბიზნესგარემოს მაღალი მაჩვენებლებით.

მიუხედავად იმისა, რომ რეიტინგის ათეულში შემავალი ყველა ქვეყანა მაღალი შემოსავლების მქონე ჯგუფშია – ამ ჯგუფის შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 11.909 აშშ დოლარი და მეტია – მაღალი შემოსავალი ქვეყანაში ქალთა მდგომარეობას პირდაპირ არ განაპირობებს. კვლევის მიხედვით, საქართველო საშუალოზე დაბალი შემოსავლის ქვეყნების ჯგუფში შედის. ამ ჯგუფის შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 976-დან 3.855 აშშ დოლარამდეა და ჯფუფში საქართველო მე-5 ადგილზეა, თუმცა, საერთო რეიტინგში საქართველო უფრო წინაა, ვიდრე საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე რუსეთი და თურქეთი.

აღნიშნული ინდექსი მხოლოდ იძლევა ზოგად სურათს იმის შესახებ თუ როგორია ქვეყნის ბიზნესგარემო და შესაძლებლობები ქალებისთვის. ქვეყანაში რეალურად მდგომარეობის გაუმჯობესებისა და შესაბამისად არსებული შესაძლებლობების ოპტიმალურად გამოყენებისათვის კი საჭიროა კონკრეტული მიმართულებებით ღონისძიებების გატარება და ინიციატივების განხორციელება.

აღნიშნულის ანალიზისათვის ოპტიმალურია მნიშვნელოვანი კატეგორიების მიხედვით ქვეყნაში არსებული მდგომარეობის და საჭიროებების მიმოხილვა.

შრომითი პოლიტიკა და პრაქტიკა

მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო დონეზე არ არის ქალის როლი დისკრიმინირებული. მაგალითად, არ არსებობს პოზიციები, რომელიც კანონით მხოლოდ მამაკაცს შეუძლია დაიკავოს, ოფიცალური შიდა რეგულაციებით ერთიდაიგივე პოზიციაზე ქალი და მამაკაცი არ იღებენ განსხვავებულ ანაზღაურებას, პრაქტიკა საკმაოდ განსხვავებულია. ქალები საშუალოდ იღებენ მამაკაცებზე 40%-ით ნაკლებ ანაზღაურებას. ამასთან, მმართველ და შესაბამისად უფრო მაღალ ანაზღაურებად პოზიციებზე უმეტესად კაცები არიან. სხვადასხვა თვოსობრივი კვლევებისა და ესქპერტთა მოსაზრებებით, სხვა თანაბარ პირობებში დაწინაურების შანსები მამაკაცებს გაცილებით მეტი აქვთ ვიდრე ქალებს.

ქალებს სამსახურის შერჩევისას ასევე ზღუდავს ბავშვის აღზრდის ვალდებულება. ამ მიმართულებით აუცილებელია სკოლანდელი აღზრდის დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, განსაკუთრებით რეგიონებში. ათასწლეულის განვითარების მიზნების 2014 წლის ეროვნული ანაგრიშის მიხედვით, სკოლანდელი განათლება ბავშვების 46%-ისთვის არის ხელმისაწვდომი. ასევე ნებისმიერი ინიციატივა, რომელიც ეხება ბავშვთა აღზრდის საკითხებს (სხვადასხვა სასწავლო წრეები, საკვირაო სკოლები, „გახანგრძლივებული" სკოლები და ა.შ), მნიშვნელოვნად გამოათავისუფლებს ქალთა დროს და მათ მიეცემათ შრომის ბაზარზე გააქტიურების შესაძლებლობა.

ქალთა შრომის ბაზარზე გააქტიურების თვალსაზრისით შესაძლოა სახელმწიფომ დააწესოს გარკეული სტიმულატორები კერძო სექტორისათვის ქალთა დასაქმების მიმართულებით. ასევე შიდა რეგულაციებით განსაზღვროს „ქვოტები" საჯარო სექტორში დასაქმებულ ქალთა რაოდენობაზე.

ამასთან ეფექტიანი იქნება, თუ სხვადასხვა ეკონომიკური პროგრამები (სახელმწიფო და საერთაშორისო სექტორის მიერ ინიცირებული) განსაკუთრებულ აქცენტს გააკეთებენ ქალთა ჩართულობასა და დასაქმებაზე.

შრომის ბაზარზე ქალთა გააქტიურების გაზრდა შესაძლებელია, როგორც გარკვეული საკანონმდებლო ინიციატივებით, ასევე სპეციალური პროგრამების ამოქმედებით.

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა

ქალების ეკონომიკური გაძლიერებისა და სამეწარმეო შესაძლებლობების შეფასებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ფინანსებზე ხელმისაწვდომობაა. აღნიშნული კომპონენტი მნიშვნელოვანი წინაპირობაა სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად და განსავითარებლად, არა მხოლოდ ქალებისთვის. კერძოდ, ფინანსების ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს ბაზარზე

ახალი კომპანიების შემოსვლას, კონკურენტული ბიზნესგარემოს შექმნას, ახალ სამუშაო ძალაზე მოთხოვნას და უმუშევრობის დონის შემცირებას, რაც ჩვენი ქვეყნისთვის მთავარი პრიორიტეტებია.

ფინანსური ინსტიტუტებიდან და სხვადასხვა დაფინანსების წყაროებიდან საქართველოში დიდ სირთულეს წარმოადგენს პირისთვის ბიზნესის დასაწყებად თანხის მიღება. წმინდა პროცედურული თვალსაზრისით ბანკებსა და მიკროსაფინანსო ინსტიტუტებში კრედიტის გამოტანა გამარტივებულია, თუმცა ამ შემთხვევაში კრედიტზე ხელმისაწვდომობის შეფასებისას ცალსახაა მაღალი საპროცენტო სარგებელი და სესხის უზრუნველყოფის (ქონებითა და შემოსავლებით) სირთულე.

ფინანსური ბაზარი შეზღუდულია ისეთი მეწარმეებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ / ან გააჩნიათ „გაფუჭებული" საკრედიტო ისტორია და ნაკლებად აქვთ დამატებითი გარანტიები. განვითარებად ქვეყნებში, ისეთი როგორიც საქართველოა, ასეთი მეწარმეების უმეტესობას ქალები წარმოადგენენ.[27]

საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში ქალები ძირითადად წარმოადგენენ მიკრო და მცირე ბიზნესს და როგორც წესი ხშირად დგანან ფინანსური სიძნელეების წინაშე. მათ მეტად აქვთ დაფინანსების მიღების საჭიროება, თუმცა ქალი მეწარმისთვის ეს დამატებით სირთულეებთან არის დაკავშირებული. გამომდინარე იქიდან, რომ როგორც წესი უძრავი ქონება რეგისტრირებულია ოჯახის უფროსის სახელზე და მათ ძირითად ნაწილს, განსაკუთრებით სოფლად, (69,4%-ს) მამაკაცები წარმოადგენენ, ქალისთვის რთულია სესხის ქონებით უზრუნველყოფა, როგორც მინიმუმ მამაკაცის ნებართვის გარეშე.

ასევე ოჯახებს, სადაც ქალები არიან შინამეურნეობის უფროსები და გადაწყვეტილების მიმღებები, როგორც კვლევამ აჩვენა, ნაკლებად აქვთ დამოუკიდებელი და სტაბილური შემოსავლის წყაროები, რაც კიდევ უფრო ართულებს მათთვის მაღალი საპროცენტო სარგებელის სესხის აღების ან/და დაფარვის შესაძლებლობას.

ფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდა მნიშვნელოვანია როგორც ქალების დასაქმების შესაძლებლობების გაზრდისთვის, ასევე ქალთა ბიზნესის განვითარებისთვის. ამ გზით ქალები არა მხოლოდ დასაქმდებიან, არამედ მათთვის მნიშვნელოვნად გაიზრდება დამოუკიდებელი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა თვითდასაქმებით და მცირე ბიზნესის დაწყებით.

მეწარმე ქალებისთვის ფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდა არანაკლებ მომგებიანი და სარგებლის მომტანი იქნება ფინანსური ინსტიტუტებისთვის, ვინაიდან ისინიც ზრუნავენ საკუთარი მომხმარებლების მოზიდვასა და შემოსავლების ზრდაზე, რასაც შეიძლება მიაღწიონ ქალი მეწარმეების სეგმენტისთვის ხელსაყრელი პირობების შეთავაზებით. მსოფლიოში ისეთი ფინანსური ინსტიტუტებისთვის, რომლებმაც შეიმუშავეს სპეციფიკური მიდგომები ქალი მეწარმეებისთვის, შეიმჩნევა ქალი მომხმარებლების რაოდენობის ზრდა. ისეთი ორგანიზაციების წევრების გამოცდილება, როგორიცაა გლობალური საბანკო ალიანსი ქალებისთვის, ფინანსური ინსტიტუტების კონსორციუმი, რომლებსაც აღებული აქვთ

[27] *წყარო:* "Strengthening Access to Finance for Women-Owned SMEs in Developing Countries" GPFI, IFC, ოქტომბერი 2011

ვალდებულება ქალთა სეგმენტის მომსახურებაზე, აჩვენებს, რომ საბანკო მომსახურება ქალებისთვის მომგებიანი და მდგრადია ფინანსური ინსტიტუტისთვის.

დაბრკოლებები, რომლებსაც ბიზნესის მფლობელი ქალები აწყდებიან ფინანსების მოძიების პროცესში არაპროპორციულად მაღალია. ფინანსური ინსტიტუტები აღიქვამენ ქალების მიერ მართულ ბიზნესს, როგორც ნაკლებად სიცოცხლისუნარიანს და უფრო მაღალი რისკის შემცველს.[28]

განვითარებად ქვეყნებში, ისეთი როგორიც საქართველოა, დაბრკოლებებთან მუდმივი ბრძოლის პროცესში ქალმა მეწარმეებმა ძირითადად ორიენტირი აიღეს პატარა, დაბალი ზრდის ტემპის მქონე ბიზნეს მიმართულებებზე, რომლებიც ხშირად სრულყოფილად ვერ ახერხებენ ფუნქციონირებას.

ქალი მეწარმეები უგულებელყოფილი სეგმენტია ფინანსური ინსტიტუტების მიერ. ეს სეგმენტი ნაკლებად მდგრადად განიხილება ფინანსურად და ხშირად ამ მიზეზით მათთვის წესდება მაღალი საპროცენტო განაკვეთი. ეს ყოველივე კი მიზეზშედეგობრივი ფაქტორია. მეორეს მხრივ დაფინანსების მიღების ხელისშემშლელი ბარიერები, ძირითადად საბანკო სექტორში წარმოადგენს მიზეზს თუ რატომ ვითარდება ნელი ტემპით ქალების მფლობელობაში არსებული ბიზნესი, ვიდრე - მამაკაცების. მეწარმე ქალების უმრავლესობა თავად აფინანსებს საკუთარი ბიზნესის ზრდას და ეს ზრდა დაბრკოლებულია დამატებითი ფინანსების მიღების დაბალი შესაძლებლობით.[29]

საქართველოში სახელმწიფო ახორციელებს სხვადასხვა პროგრამებს ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. **თუმცა არცერთი მათგანი სპეციფიკურად არ ითვალისწინებს ქალ მეწარმეთა ხელშეწყობას ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.**

პროგრამა – "აწარმოე საქართველოში" - 2014 წლის ივნისიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ერთობლივად დაიწყეს ახალი სამთავრობო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომელიც მიმართულია წარმოების შემდგომი განვითარებისა და წახალისებისაკენ.

პროგრამის მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე-სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა, ამასთანავე კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გამარტივებისა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევის საშუალებით. 2014 წლის 2 ივნისიდან მეწარმეებს ეძლევათ შესაძლებლობა მიმართონ ბანკებს კრედიტის დასამტკიცებლად.

პროექტი – „შეღავათიანი აგროკრედიტი" ინიცირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და მას 2013 წლის 27 მარტიდან ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო.

---

[28] *წყარო:* "Strengthening Access to Finance for Women-Owned SMEs in Developing Countries" GPFI, IFC, ოქტომბერი 2011

[29] *წყარო:* "Strengthening Access to Finance for Women-Owned SMEs in Developing Countries" GPFI, IFC, ოქტომბერი 2011

პროექტის მიზანია ფერმერების და სოფლის მეურნეობაში ჩართული მეწარმეების იაფი, გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების გაუმჯობესება.

„შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ ფარგლებში აგრო კრედიტებს გასცემენ პროექტში მონაწილე კომერციული ბანკები და საფინანსო ინსტიტუტები, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო არ მონაწილეობს საკრედიტო განაცხადის დამუშავების და კრედიტის გაცემის პროცესში.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ხსენებული პროგრამებით ყველა ზემოთხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით ძირითადად ისარგებლებენ მამაკაცები, რადგან ფინანსური ინსტიტუტები სახელმწიფო პროგრამების ფარგლებშიც თავად აფასებენ ბიზნესის რისკებს და იღებენ გადაწყვეტილებას დაფინანსების გაცემის თაობაზე.

შეუძლებელია არ აღინიშნოს, საერთაშორისო ორგანიზაციების - ისეთი როგორიცაა აშშ -ს განვითარების სააგენტო (USAID), ევროკომისია, გაეროს და სხვა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტები და პროგრამები, რომელიც იმთავითვე მიზნად ისახავს ქალების ეკონომიკურ გაძლიერებას და მეწარმე ქალების ფინანსურ და ტექნიკურ მხარდაჭერას. თუმცა უფრო ეფექტიანი იქნებოდა მათი კოორდინირებული განხორციელება და სისტემური მიდგომების ინტეგრირება სახელმწიფო პოლიტიკაში. ვინაიდან ყველა განხორციელებული პროგრამა თუ პროექტი შეზღუდულია დროში, არეალსა და ფინანსებში, ხოლო ვითარების მდგრადი გაუმჯობესებისთვის საჭიროა გრძელვადიანი და თანმიმდევრული სისტემის შემუშავება.

ამ მხრივ საჭიროა კოორდინირებული მუშაობა და რიგი ინიციატივების განხორციელება, ერთის მხრივ - სახელმწიფო სტრუქტურების, საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების, და მეორეს მხრივ - კომერციული ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მხრიდან.

ფინანსურმა ინსტიტუტებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ქალებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდაში და შეიმუშაონ ორმაგად სარგებლიანი და შეღავათიანი პროდუქტები ქალთა სეგმენტისთვის მათი სპეციფიკური მოთხოვნებისა და საჭიროებების გათვალისწინებით საქართველოში. აღსანიშნავია, რომ განვითარებადი ქვეყნების კომერციულ ბანკებს უჭირთ მცირე მეწარმეებისთვის და შესაბამისად ქალი მეწარმეებისთვის სესხების გაცემა, ვინაიდან ეს ბანკები შედარებით შეზღუდული ფულადი რესურსებით ფუნქციონირებენ. მიუხედავად ამ სირთულეებისა, მათთვისაც სარგებლის მომტანი იქნება ქალ მეწარმეთა საჭიროებებზე მორგებული სპეციფიკური პროდუქტების შემუშავება სოციალური და კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

ზემოთხსენებული დასკვნები და მიგნებები ადასტურებს რომ პოლიტიკის შემქმნელებმა საქართველოში, უნდა შექმნან ხელშემწყობი ბიზნესგარემო ქალი მეწარმეებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით; შეიმუშაონ ქვეყნის სპეციფიკასა და სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებებს მორგებული პროგრამები და ინიციატივები გენდერულ ჭრილში.

მაგალითად:

- ჩაიდოს ინვესტიცია (სახელმწიფო ფინანსები ან საერთაშორისო გრანტები) კომერციულ ბანკებში, რაც მათ საშუალებას მისცემს მეტი მოცულობის და შეღავათიანი სესხები გასცენ ქალ მეწარმეებზე;
- განხორციელდეს კვლევები და მოპოვებულ იქნას მტკიცებულებები, რაც დაასაბუთებს, რომ ფინანსური ინსტიტუტების მოგება და მდგრადობა გაიზრდება ქალი მეწარმეების სეგმენტის ათვისებით და მათთვის სპეციფიკური საჭიროებაზე მორგებული პროდუქტების შემოღებით;
- ქალ ბენეფიციარებთან ინტენსიური მუშაობა და შესაძლებლობების ზრდა, იმ მიზნით რომ უკეთ გაიგონ საბანკო სისტემა და განავითარონ საკუთარი ფინანსური მენეჯმენტის უნარები, რათა გახდნენ უფრო მიმზიდველი სეგმენტი ფინანსური ინსტიტუტებისთვის.

განათლება და პროფესიული სწავლება

ქალთა ბიზნეს სექტორში ჩართულობაზე ბუნებრივია დიდ ზეგავლენას ახდენს განათლებასა და უნარ-ჩვევების ამაღლების შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობა. ზოგადად საკანონმდებლო დონეზე გოგონებსა და ბიჭებს განათლების მიღების ერთნაირი შესაძლებლობა გააჩნიათ. ოფიციალური სტატისტიკა ცხადყოფს, რომ დასაქმებულთა ყველაზე დიდი წილი იმ პირებზე მოდის, რომლებსაც მიღებული აქვთ საშუალო ზოგადი განათლება. მიუხედვად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით, ქორწინება 16 წლამდე მოზარდებს შორის აკრძალულია. არიან ადამიანები, ვინც 13-14 წლის ასაკში დაოჯახების სურვილს ცუდი სოციალური მდგომარეობით ამართლებენ. როგორც სახალხო დამცველმა, უჩა ნანუაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, „ნაადრევი ქორწინების ციფრი შეიძლება, იმის მიხედვითაც განისაზღვროს, თუ რამდენი მოზარდი ვერ ამთავრებს საჯარო სკოლას წლის განმავლობაში, ასეთი კი დაახლოებით 7 300 მოზარდია, სწავლის შეწყვეტის ძირითად მიზეზად კი ქორწინებას ან ნაადრევ ასაკში მშობიარობას ასახელებენ". ლოგიკურიცაა, რომ ამ კატეგორიის გოგონები ვერ ახერხებენ სათანადო განათლების მიღებას და შემდგომში საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას. ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების მიერ წარდგენილ ალტერნატიულ ანგარიშში აღნიშნულია ნაადვევი ქორწინების პრობლემატიკა, ძირითადად ეთნიკური უმცირესობების თემში. სახელმწიფოს მიმართ გამოცემულ რეკომენდაციებში, კომიტეტი ამბობს, რომ სახელმწიფომ შეისწავლოს ნაადრევი ქორწინებების რაოდენობა და შედეგები, მიიღოს საჭირო ზომები, რათა მოხდეს გოგონათა ნაადრევი ქორწინების პრევენცია ყველა ეთნიკურ ჯგუფში; სამიზნე საზოგადოებას, მშობლებს, რელიგიურ ლიდერებს მიეწოდოთ ინფორმაცია და აუმაღლდეთ ცნობიერება ნაადრევი ქორწინებების უარყოფით გავლენაზე გოგონებზე, განსაკუთრებით კი მათ ჯანმრთელობასა და განვითარებაზე, ხელი შეუწყოს ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების წევრი გოგონების სასკოლო დასწრებას, განსაკუთრებით საშუალო სკოლაში, და მიიღოს ზომები, რათა აღმოიფხვრას ის ბარიერები, რომელიც ხელს უშლის მათ წვდომას განათლებასთან, როგორიც არის მაგალითად ნაადრევი ქორწინება[30];

[30] CEDAW დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მეოთხე და მეხუთე გაერთიანებული პერიოდული ანგარიშების შესახებ" – 2014 წელი;

გოგონების მიერ სასკოლო განათლების მიღების კუთხით ნიშანდობრივი შეფასებები იქნა წარმოდგენილი „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო"-ს მიერ. 2013 წელს ჩატარებული „მეცნიერების, ტექნოლოგიების, საინჟინრო და მათემატიკის (STEM) საგანმანათლებლო პროგრამებში და პროფესიებში მონაწილეობის ბარიერებისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების კვლევის" შედეგებმა აჩვენა, რომ "განათლების მიღების განმავლობაში, რომელიც სკოლიდან იწყება, ვითარდება და აღწევს დასაქმების ეტაპს, გოგონების აკადემიური მოსწრება და მიღწევები STEM-ის საგნებში, მინიმუმ უტოლდება, ან უსწრებს ბიჭების აკადემიურ მოსწრებას და მიღწევებს. თუმცა, საბოლოო ჯამში, ბიჭებთან შედარებით, უფრო ნაკლები გოგონა აგრძელებს კარიერას STEM პროფესიებში. კვლევამ აჩვენა, რომ გოგონები ნაკლებად აფასებენ საკუთარ შესაძლებლობებს STEM-ის საგნებში ვიდრე ბიჭები. ამის გარდა, პროფესიული სასწავლებლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ოჯახის გავლენა კვლავ მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ მიერ მომავალი პროფესიის შერჩევაში.

აუცილებელია განისაზღვროს პრაქტიკული გზები იმისა, თუ როგორ შეუძლია ოჯახს, სკოლასა და საზოგადოებას შექმნან, მოთხოვნად სფეროებში, ქალების შესაძლებლობების ნეგატიური სტერეოტიპების დანგრევისთვის საჭირო ხელსაყრელი გარემო. აუცილებელი ხდება, ხელი შევუწყოთ გოგონების ინტერესების მოტივაციას, რათა მათ საკუთარი თავის რწმენა განუვითარდეთ და მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლის უნარები გაიუმჯობესონ.

ქვეყანაში სამუშაო ძალის განვითარება საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი წინაპირობაა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტი საქართველოსთვის განახორციელებს სტრატეგიულ ინვესტირებას როგორც ზოგადი, ასევე პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამების განვითარებისათვის. მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება ქალებისა და სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობაზე STEM საგანმანათლებლო პროგრამებსა და პროფესიებში"[31].

ქალთა 43% ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას განეკუთვნება, მათი მესამედზე მეტი დიასახლისია. ეს კატეგორია რეალურად არის ქვეყნის ფარული რესურსი, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მის განვითარებაში. აღნიშნული ჯგუფის ეკონომიკური შესაძლებლობების რეალიზაციისა და საკუთარი სამეწარმეო საქმნიანობის დაწყების კუთხით ძალიან მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია პროფესიულ განათლებას. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ პროფესიულ სასწავლებლებში ქალ სტუდენტთა წილი მხოლოდ 39%-ია. ასევე მნიშვნელოვანია ტრენინგ-კურსების გავლის შესაძლებლობა, რომლებიც ქალებს დაეხმარებათ საკუთარი ბიზნეს ინიციატივის შემუშავება-დახვეწაში და შემდგომში ეფექტიან მართვაში. იმ შემთხვავში, თუ კი პირს აქვს კარგი განათლება, მაგრამ არ ჰქონია სამუშაო ან სამეწარმეო გამოცდილება, რა თქმა უნდა, მას აუცილებლად სჭირდება უნარ-ჩვევებისა და ცოდნის დონის ამაღლების კურსები. ამ კუთხით, არც სტატისტიკური ინფორმაციაა ხელმისაწვდომი და არც საინფორმაციო

[31] *წყარო:* საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტრო;

რესურსცენტრებია, რომელიც პოტენციურ ბენეფიციარებს მიაწვდიდა ამომწურავ ინფორმაციას ხელმისაწვდომი ტრენინგ-კურსების შესახებ.

ამგვარ ტრენინგ-კურსებს ძირითადად ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო სექტორი სთავაზობს ქალებს. შესაბამისად, ისინი ვერ ფარავენ მთლიან ქვეყანას, განსაკუთრებით სოფლებს და არ აქვთ პერმანენტული ხაისათი. სამეწარმეო და სხვა უნარების ზრდის სასწავლო კურსების მიწოდების უზურნველყოფა შესაძლოა მოახდინონ ადგილობრივმა თვითმმართველობებმა. ასევე, მათ ექნებათ შესაძლებლობა მოახდინონ კურსების ადაპტირება უშუალოდ მათი რეგიონისათვის დამახასიათებელი ბიზნეს სექტორების ან სასოფლო-სამეურნეო დარგების სპეციფიკის გათვალისიწინებით.

ბიზნესგარემო და ბიზნესის დაწყების შესაძლებლობა

ბიზნესგარემო საქართველოში საკმაოდ ხელსაყრელია ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის. ამასთან საკანონმდებლო დონეზე არ არსებობს რაიმე დისკრიმინაციული ნორმები ქალებთან მიმართებაში. ყველა საერთაშორისო ორგანიზაციისაგან საქართველო იღებს საკმაოდ მაღალ სარეიტინგო შეფასებებს. Doing Business-ი არის მსოფლიო ბანკის ჯგუფის ნაწილი, რომლის ანგარიშიც ქვეყნდება ყოველწლიურად. მსოფლიო ბანკი ბიზნესის კეთების რეიტინგს ათი სხვადასხვა ინდიკატორით ადგენს და აფასებს იმ რეგულირებებს, რომელიც აძლიერებს ან აფერხებს ბიზნესსაქმიანობას. მათ შორის არის ბიზნესის კეთების დაწყების სიმარტივე, ინვესტიციების დაცვა, გადასახადების გადახდა, კრედიტის აღება, ქონების რეგისტრაცია, მშენებლობის ნებართვის გაცემა და სხვა.

ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგში საქართველო საუკეთესო ათეულშია. ქვეყანამ წინა წლის პოზიცია გაიუმჯობესა 2014 წელს და მე-9-დან მე-8 ადგილზე გადაინაცვლა. რეტინგით 189 ქვეყანაა შეფასებული.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ბიზნესის დაწყების, ფუნქციონირებისა და დახურვის შესაძლებლობის შეფასებას ახდენს. ინდექსს ადგენს Heritage Foundation-ი და the wall street Journal-ი. 2014 წლის შეფასებით საქართველო 22-ე ადგილზეა 178 ქვეყანას შორის და იგი უმეტესად თავისუფალი ეკონომიკების მქონე ქვეყნების ჯგუფში რჩება. საქართველოს საშუალო ქულა (72.6) აღემატება 5.5 ქულით ევროპის რეგიონის საშუალო ქულას (67.1). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანა მნიშვნელოვნად უსწრებს მეზობელი ქვეყნების მაჩვენებლებს. ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში მათი ადგილები ასე გადანაწილდა - სომხეთი 41-ე, რუსეთი - 140-ე, აზერბაიჯანი - 81-ე; უკრანია - 155-ე და თურქეთი - 64-ე.

აღნიშნული რეიტინგები არ ითვალისიწინებენ გენდერულ საკითხებს და ვერ ასახავენ შესაძლო ბარიერებსა და გამოწვევებს ბიზნესში ქალთა ჩართულობის თვალსაზრისით. ამ მიმართულებებით სრულყოფილი სურათის ასახვა რთულია, რამდენადაც არ არის რაიმე ეროვნული დონის კვლევა ჩატარებული. არსებობს მხოლოდ ცალკეული ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშები, რომელიც უფრო მეტად კონკრეტულ მიმართულებებზეა ორიენტირებული და მეტ-ნაკლებად ეხება ქალების მიერ ბიზნესის დაწყებისა და მართვის შესაძლებლობებს.

განსაკუთრებით გამოსაყოფია საკითხი, თუ რა ტიპის საქმეწარმეო საქმნიანობა და რა რესურსებით შეიძლება დაიწყონ სოფლად მცოვრებმა ქალებმა. უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმიანობის დაწყებისათვის ყველაზე დიდი ბარიერი ფინანსებზე ხელმისაწვდომობაა, თუმცა სხვადასხვა კვლევებიდან გამომდინარე თამამად შეგვიძლია დავასკვანთ, რომ მენტალური ბარიერების (ტრადიციული დამოკიდებულებები, რისკის გაწევის შიში, ინერტულობა და ა.შ.) გადალახვა არანაკლები სიმწვავის გამოწვევაა.

ამასთან, აუცილებელია ქალთა საინფორმაციო უზურნევლყოფა და ხელმისაწვდომობის გაზრდა ბიზნესკონსულატაციებზე. ხშირია შემთხვევები, როდესაც სამეწარმეო საქმნიანობას იწყებენ ყველანაირი ფინანსური გათვლების და გაყიდვების გეგმის გარეშე და შედაგად იღებენ „ჩავარდნილ" საქმეს, რაც განაპირობებს პრინციპულ უარს სხვა სამეწარმეო საქმნიანობის დაწყებაზე. ამ კუთხით, ეფექტიანი იქნებოდა გარკვეული დარგობრივი ანალიზის ჩატარება, რომელიც რჩევას მისცემდა პოტენციურ მეწარმე ქალებს რა მიმართულებით იქნებოდა ფინანსურად ეფექტიანი საქმიანობის დაწყება, რა პროდუქტებსა და მომსახურებებზე არის მზარდი მოთხოვნა რეგიონების ჭრილში და ა.შ. ბუნებრივია ამგვარი ინფორმაციის მიწოდება მხოლოდ ერთი ნაწილი უნდა იყოს ქალთა მეწარმეობის განვითარების კომპლექსური პროგრამის. აღნიშნული ინიციატივა ეფექტიანი იქნება, თუ ქალებს ექნებათ ფინანსებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა; ასევე, უნარ-ჩვევების განვითარების და ბიზნესკონსულტაციების მიღების შესაძლებლობები.

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები

- საქართველოს მოსახლეობის 52% (2 349 100 პირი) ქალია, მათ შორის ნახევრაზე მეტი ეკონომიკურად აქტიურია (ქალთა57%), ხოლო ეკონომიკურად არააქტიური ქალების მესამედზე მეტი 352 365 პირი დიასახლია.

➢ აღნიშნულ კატეგორიას გააჩნია პოტენციალი გახდეს ეკონომკურად აქტიური ძალა და სამეწარმეო შესაძლებლობების რეალიზაციის გზით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ, როგორც საკუთარი ოჯახების კეთილდღეობის გაზრდაში, ასევე ქვენის განვითარებაში.

- 234 348 ქალი საარსებო შემწეობის მიმღებია. სიღარიბე აფერხებს ქალთა აქტიურობას საჯარო სივრცეში და არ უტოვებს შესაძლებლობას ქალს იფიქროს და განახორციელოს რაიმე ტიპის ეკონომიკური ინიციატივა.

➢ უდაოა, რომ სიღარიბე არის ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი, რომელიც აფერხებს ქალის როგორც აქტიური მოქალაქისა და მეწარმის განვითარების შესაძლებლობებს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიღარიბის რეალური შემცირების/აღმოფხვრის ერთადერთი გზა ეკონომიკური განვითარებაა.

- სასკოლო ასაკის პირთა რაოდენობა გოგონებისა და ბიჭების მიხედვით თითქმის ერთგვაროვანია - მთლიანი მოსახლეობის 8% და 9% შესაბამისად. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 2012-2013 სასწვალო წელს 28 433-ით მეტი ბიჭი მოსწავლე ირიცხებოდა (რაც თითქმის 10%-ით მეტია გოგონათა რაოდენობაზე). ამასთან საყურადღებოა, რომ პროფესიულ სასწავლებლების სტუდენტთა უმეტესობა - 61% ბიჭია. პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობების შექმნა ძალიან მნიშვნელოვანია გოგონებისათვისაც და ცალსახაა რომ ამ მიმართულებით დამატებითი ღონისძიებებია გასატარებელი. განსაკუთრებით აქტუალურია აღნიშნული საკითხი, როდესაც საქმე ეხება სოფლად მცხოვრები ქალების ეკონომიკურ განვითარებას.

➢ რეალურად ქალთა დასაქმებისა და სამეწარმეო საქმიანობების შესაძლებლობების განვითარებისა და დივერსიფიკაციის „გასაღები" პროფესიულ განათლებაში დევს. საჭიროა, ერთის მხრივ მოხდეს პროფესიულ სასწავლებლებში ისეთი მიმართულებების დანერგვა, რომელიც სწორედ ქალებს მისცემს დასაქმებისა და საკუთარი საქმიანობების დაწყების შესაძლებლობას. ამ თვალსაზრისით ადგილობრივ თვითმმართველობებს განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლიათ. ეფექტიანი იქნებოდა გარკვეული სასწვლო კურსების ადგილზე მიწოდების ორგანიზება.

- სოფლად მცხოვრები ქალების უმეტესობა პირდაპირი ან ირიბი ფორმით ჩართულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებში. 2009 წლიდან მოყოლებული მეურნეობათა რაოდენობა წლების მანძილზე უცვლელია და 815 000-ს შეადგენს. 2009 წლიდან შეინიშნება კაცი ხელმძღვანელების რაოდენობის ზრდა ქალი ხელმძღვანელების რაოდენობის შემცირების ხარჯზე. 2012 წლის მონაცემებით მეურნეობათა ხელმძღვანელებს შორის 70% კაცია იყო და შესაბამისად - 30% ქალი. 2012 წელს იმ შინამეურნეობებში სადაც ქალი არის

უფროსი შემოსავლების ოდენობა დაახლოებით 184 ლარით ანუ 25%–ით ნაკლებია ვიდრე იქ სადაც შინამეურნობის უფროსი კაცია.

- ცალსახად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განსაკუთრებით სოფლად შინამერნეობებში ქალთა შესაძლებლობები არ/ვერ რეალიზდება, ასევე საკმაოდ შეზღუდულია მათი, როგორც შინამეურნეობების ხელმძღვანელის როლი. როგორც წესი, მათ ეს ფუნქცია იმ შემთხვევაში ეკისრებათ, თუ ოჯახში არ არის მამაკაცი. ამდენად, აუცილებლია, ქალთა უნარებისა და შესაძლებლობების გაძლიერება, ასევე დამოკიდებულებისა და აღქმის შეცვლა, რათა მათ შეძლონ და თამამად აიღონ საკუთარ თავზე მეურნეობების ხელმძღვანელობის ვალდებულება და ასევე იკისრონ შინამეურნეობის უფროსის ფუნქცია.

- უმუშევრობის დონის მაჩვენებლმა ქალთა შორის 2013 წელს 12.3% შეადგინა, ხოლო მამაკაცებისათვის - 16.5%. ტრადიციულად, ქალებში უმუშევრობის დონე ნაკლებია ვიდრე მამაკაცებში. ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ დაუსაქმებელი ქალების უმრავლესობა დიასახლისია და, შესაბამისად, არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება. ქალებში არააქტიურობის დონე თითქმის ორჯერ აღემატება კაცებში ანალოგიურ მაჩვენებელს. ამგვარად, კაცებთან შედარებით ქალებში დაბალია როგორც აქტიურობის დონე, ასევე დასაქმების დონე. საგულისხმოა, რომ ქალებში უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალ ნიშნულს 15-24 ასაკობრივ ჯგუფში აღწევს. ხოლო დასაქმების მაჩვენებელი 70%-ს ცილდება 45-54 ასაკობრივ ჯგუფში.

- ქალთა დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესებისათვის აუცილებელია მოხდეს მათი სამსახურის მოძიების ჯერ მოტივაციის ჩამოყალიბება/გაზრდა, შემდგომ უნარ-ჩვევების განვითარება. ასევე დამატებით ინსტრუმენტებად შესაძლოა მოაზრებულ იქნას: კვალიფიკაციის ამაღლების კურსები; პროფესიული გადამზადება; უნარების ზრდის ტრენინგები და აშ.
- ქალთა შრომის ბაზარზე გააქტიურების თვალსაზრისით შესაძლოა სახელმწიფომ დააწესოს გარკვეული სტიმულატორები კერძო სექტორისათვის ქალთა დასაქმების მიმართულებით. ასევე შიდა რეგულაციებით განსაზღვროს "ქვოტები" საჯარო სექტორში დასაქმებულ ქალთა რაოდენობაზე.

- ეკონომიკურად აქტიურ ქალთა 54% თვითდასაქმებულია, ხოლო 32% - დაქირავებით დასაქმებულია. დაქირავებით დასაქმებული ქალთა 44% საჯარო სექტორში მუშაობს, ხოლო კერძო სექტორში შესაბამისად 56%. ამასთან, საინტერესოა, რომ 2011 წლამდე ქალები უფრო მეტად სახელმწიფო სექტორში იყვნენ დასქმებულები, თუმცა არასახელმწიფო სექტორში დასაქმებულ ქალთა რაოდენობა ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა და 2013 წლის მონაცემებით აღნიშნულ სექტორში 21%-ით მეტი ქალი იყო დასაქმებული. ბიზნეს სეტორში დასაქმებულ ქალთა ნახევრზე მეტი მსხვილ საწარმოებზე მოდის, თუმცა ამ ზომის საწარმოებში დასაქმებულთა მხოლოდ 34%-ია ქალი. მცირე და საშუალო საწარმოებში კი დასაქმებულთა 43% და 42% შესაბამისად ქალები არიან. სავარაუდოდ, აღნიშნული პროპორციები გამომდინარეობს იქიდან, რომ საქართველოში მსხვილი საწარმოების ისეთ დარგებში (როგორებიცაა: სატრანსპორტო სფერო, მძიმე მრეწველობა და ა.შ.) ფუნქციონირებენ, სადაც ძირითადად მაინც ე.წ. მამაკაცის პროფესიებია უფრო მეტად

მოთხოვნადი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მაღალი საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება ქალებს მაინც მსხვილ საწარმოებში აქვთ და 687,5 ლარს შეადგენს, მაშინ როდესაც მცირე საწარმოში იგივე მაჩვენებელი მხოლოდ 281,5 ლარია. ქალისა და კაცის საშუალო თვიური ანაზღაურებას შორის ყველაზე დიდია სხვაობა მცირე საწარმოებში. მამაკაცები აქ შედარებით დაბალ ანაზღაურებას იღებენ 569,3 ლარს, თუმცა ქალებთან შედარებით 102%-ით მეტს. მსხვილ საწარმოებში კი მამაკაცების ანაზღაურება ქალების 56%-ით ჭარბობს, ხოლო საშუალოებში - 78%-ით.

- 2012 წელს ქალების საშუალო თვიურმა ხელფასმა 517,9 ლარი შედგინა, რაც 27%-ით ნაკლებია საშუალო მაჩვენებელზე და 40%-ით ნაკლები მამაკაცების ანაზღაურებაზე. სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემებისა და ექსპერტთა ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი ისაა, რომ ქალები ნაკლებად მუშაობენ მმართველ და შესაბამისად მაღალანაზღაურებად პოზიციებზე. ამასთან, გასათვალისიწნებელია ისიც, რომ ქალები მეტად არიან დასქმებულები ისეთ დარგებში, სადაც ზოგადადაც დაბალია საშუალო ანაზღაურება, მათ შორის განათლება, ჯანდაცვა, მომსახურების სხვა სფეროები.

- მსოფლიო ბანკის მონაცემებით მსოფლიოში ქალის ხელფასი საშუალოდ 8-დან 48 %-მდე ნაკლებია მამაკაცის ხელფასზე. ეს სხვაობა კიდევ უფრო დიდია დაბალშემოსავლიან ქვეყნებში. საქართველოში 2012 წელს ქალების ანაზღაურება მამაკაცებთან შედარებით 40%-ით ნაკლები იყო. როგორც მონაცემებიდან ჩანს ქალთა მდგომარება როგორც დასაქმების, ასევე ანაზღაურების თვალსაზრისით არცთუ ისე სახარბიელოა. აღნიშნული საკითხის ანალიზისას აუცილებელია ასევე კულტურული ფაქტორების და მოსახლეობის დამოკიდებულებების გათვალისიწინება და შესაბამისად ადექვატური ზომების მიღება და სხვადასხვა ინიციატივების განხორციელება, რათა ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლების სხვაობა ქალებისა და მამაკეცებისათვის მეტად შემცირდეს.

➢ შესაბამისად, ქალთა დასაქმების გაზრდის, მათი ეკონომიკური გაძლიერებისათვის გასატარებელი ღონისძიებებისა და პროგრამების ეფექტიანობისათვის, წმინდა ეკონომიკური ხასიათის ინიციატივები საკმარისი ვერ იქნება. აუცილებელია უშუალოდ ქალებისათვის თვითშეფასების, საკუთარ შესაძლობლობების რწმენის მნიშვნელოვანი ამაღლება. კიდევ უფრო რთულია გამოწვევები, რომელიც სტერეოტიპებისა და მანკიერი ტრადიციული დამოკიდებულებების აღმოფხვრას უკავშირდება.

- ქალებს სამსახურის შერჩევისას ასვე ზღუდავს ბავშვის აღზრდის ვალდებულება. ამ მიმართულებით აუცილებელია სკოლანდელი აღზრდის დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, განსაკუთრებით რეგიონებში. ათასწლეულის განვითარების მიზნების 2014 წლის ეროვნული ანგარიშის მიხედვით, სკოლანდელი განათლება ბავშვების 46%-ისთვის არის ხელმისაწვდომი.

➢ ნებისმიერი ინიციატივა, რომელიც ეხება ბავშვთა აღზრდის საკითხებს (სხვადასხვა სასწავლო წრეები, საკვირაო სკოლები, სკოლის „გახანგრძლივებული" და ა.შ),

მნიშვნელოვნად გამოათავისუფლებს ქალთა დროს და მათ მიეცემათ შრომის ბაზარზე გააქტიურების შესაძლებლობა.

- ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ქალი მეწარმეებისათვის დამატებით ბარიერებთან არის დაკავშირებული. ფინანსური ბაზარი შეზღუდულია ისეთი მეწარმეებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ / ან გააჩნიათ „გაფუჭებული" საკრედიტო ისტორია და ნაკლებად აქვთ დამატებითი გარანტიები. საქართველოში ასეთი მეწარმეების უმეტესობას ქალები წარმოადგენენ. მათ მეტად აქვთ დაფინანსების მიღების საჭიროება. თუმცა ქალისთვის რთულია სესხის ქონებით უზრუნველყოფა, როგორც მინიმუმ მამაკაცის ნებართვის გარეშე. ასევე პრობლემას წარმოადგენს დამოუკიდებელი და სტაბილური შემოსავლის წყაროების არ არსებობა, შედეგად მათთვის დგინდება მაღალი საპროცენტო სარგებელი სესხის აღებისას და შემდგომში მცირდება სესხის დაფარვის შესაძლებლობა. მეწარმე ქალებისთვის ფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდა არანაკლებ მომგებიანი და სარგებლის მომტანი იქნება ფინანსური ინსტიტუტებისთვის, ვინაიდან ისინიც ზრუნავენ საკუთარი მომხმარებლების მოზიდვასა და შემოსავლების ზრდაზე. დაბრკოლებები, რომლებსაც ბიზნესის მფლობელი ქალები აწყდებიან ფინანსების მოძიების პროცესში არაპროპორციულად მაღალია. ფინანსური ინსტიტუტები აღიქვამენ ქალების მიერ მართულ ბიზნესს, როგორც ნაკლებად სიცოცხლისუნარიანს და უფრო მაღალი რისკის შემცველს.

- საქართველოში, ქალი მეწარმეებისთვის უნდა გაიზარდოს ფინანსებზე ხელმისაწვდომობა. ამის მიღწევა შესაძლებელია სხვადასხვა ინიციატივების განხორციელებით, მათ შორის: ჩაიდოს ინვესტიცია (სახელმწიფო ფინანსები ან საერთაშორისო გრანტი) კომერციულ ბანკებში, რაც მათ საშუალებას მისცემს მეტი მოცულობის და შეღავათიანი სესხები გასცენ ქალ მეწარმეებზე; განხორციელდეს კვლევები და მოპოვებულ იქნას მტკიცებულებები, რაც დაასაბუთებს, რომ ფინანსური ინსტიტუტების მოგება და მდგრადობა გაიზრდება ქალი მეწარმეების სეგმენტის ათვისებით და მათთვის სპეციფიკურ საჭიროებაზე მორგებული პროდუქტების შემოღებით; ქალ ბენეფიციარებთან ინტენსიური მუშაობა და შესაძლებლობების ზრდა, იმ მიზნით რომ უკეთ გაიგონ საბანკო სისტემა და განავითარონ საკუთარი ფინანსური მენეჯმენტის უნარები, რათა გახდნენ უფრო მიმზიდველი სეგმენტი ფინანსური ინსტიტუტებისთვის.

- ქალთა ბიზნეს შესაძლებლობათა გაძლიერების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ტრენინგ-კურსების გავლის შესაძლებლობა, რომლებიც ქალებს დაეხმარებათ საკუთარი ბიზნეს ინიციატივების შემუშავება-დახვეწაში და შემგომში ეფექტიან მართვაში. იმ შემთხვევაში კი თუ პირს აქვს კარგი განათლება, მაგარმ არ ჰქონია სამუშაო ან სამეწარმეო გამოცდილება, რა თქმა უნდა, ბინზნეს საქმნიანობაში წარმატების მისაღწევად მას აუცილებად სჭირდება უნარ-ჩვევებისა და ცოდნის დონის ამაღლება. ამგვარ ტრენინგ-კურსებს ძირითადად ადგილობრივი და საერთაშორისო არამსათავრობო სექტორი სთავაზობს ქალებს. შესაბამისად ისინი ვერ ფარავენ მთლიან ქვეყენას, განსაკუთრებით სოფლებს და არ აქვთ პერმანენტული ხასიათი. მეწარმეობის

და სხვა დაკავშირებული უნარების ზრდის სასწავლო კურსების მიწოდების უზრუნველყოფა შესაძლოა მოახდინონ ადგილობრივმა თვითმმართველობებმა. ასევე მათ ექნებათ შესაძლებლობა მოახდინონ კურსების ადაპტირება უშუალოდ მათი რეგიონისათვის დამახასიათებელი ბიზნეს სექტორების ან სასოფლო-სამეურნეო დარგების სპეციფიკის გათვალისიწინებით.

- განსაკუთრებით გამოსაყოფია საკითხი, თუ რა ტიპის სამეწარმეო საქმიანობა და რა რესურსებით შეიძლება დაიწყონ სოფლად მცოვრებმა ქალებმა. აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებისათვის ყველაზე დიდი ბარიერი ფინანსებზე ხელმისაწვდომობაა, თუმცა სხვადასხვა კვლევებიდან გამომდინარე თამამად შეგვიძლია დავასკვანთ, რომ მენტალური ბარიერების (ტრადიციული დამოკიდებულებები, რისკის გაწევის შიში, ინერტულობა და ა.შ.) გადალახვა არანაკლები სიძლიერის გამოწვევაა.

- აუცილებელია ქალთა მოტივაციის ამაღლება, საკუთარ თავში რწმენის გაძლიერება. უშუალოდ მათთვის და ზოგადად საზოგადოებისთვისაც ნათლადაა წარმოსაჩენი, რომ ქალს შეუძლია მოახდინოს ეკონომიკური და სამეწარმეო შესაძლებლობების სრულყოფილი რეალიზაცია. ამ თვალსაზრისით შეუცვლელი როლის შესრულება შეუძლია მას-მედიის საშუალებებს. სხვადასხვა მეწარმე ქალების „წარმატების ისტორიების" გავრცელება და გამოცდილების გაზიარება თუ როგორ შეძლეს მათ საკუთარი საქმიანობის დაწყება და განვითარება კარგი მაგალითი და მამოტივირებელი სიგნალი იქნებოდა პასიური ქალებისათვის.

- აუცილებელია ქალთა საინფორმაციო უზრუნველყოფა და ბიზნესკონსულატაციებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. ხშირია შემთხვევები, როდესაც სამეწარმეო საქმიანობას იწყებენ ყველანაირი ფინანსური გათვლების, გაყიდვების გეგმის გარეშე და შედეგად იღებენ „ჩავარდნილ" საქმეს, რაც განაპირობებს პრინციპულ უარს სხვა სამეწარმეო საქმნიანობის დაწყებაზე. ამ კუთხით ეფექტინი იქნებოდა გარკვეული დარგობრივი ანალიზის ჩატარება და შესაბამისი ბაზრების შესწავლა, რომელიც რჩევას მისცემდა პოტენციურ მეწარმე ქალებს რა მიმართულებით იქნებოდა ფინანსურად ეფექტიანი საქმიანობის დაწყება, რა პროდუქტებსა და მომსახურებებზე არის მაღალი მოთხოვნა რეგიონების ჭრილში და ა.შ. ბუნებრივია, ამგვარი ინფორმაციის მიწოდება მხოლოდ ერთი ნაწილი უნდა იყოს ქალთა მეწარმეობის განვითარების კომპლექსური პროგრამის. აღნიშნული ინიციატივა ეფექტიანი იქნება თუ ქალებს ექნებათ ფინანსებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობა; ასევე, უნარ-ჩვევების განვითარების და ბიზნესკონსულტაციების მიღების შესაძლებლობები.

- მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული პროგრესი გენდერული სტატისტიკის წარმოებისა და მოპოვების კუთხით, აუცილებლია, რომ ამ მიმართულებით, განსაკუთრებით საჯარო სექტორმა კიდევ უფრო გააძლიეროს მუშაობა. იმისათვის, რომ მოხდეს ქალთა გაძლიერების ეფექტიანი პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება, აუცილებელია, რომ ყველა შესაძლო ეკონომიკური ხასიათის მონაცემი ხელმისაწვდომი იყოს გენდერულ ჭრილში.

- გენდერული სტატისტიკის წარმოება ყველა შესაბამისი მიმართულებით; მაგალითად იგივე შემოსავლების სამსახურმა დათვალოს რამდენია ბიზნესის მფლობელი / თანამფლობელი ქალი სექტორების მიხედვით; ინდ.მეწარმეები. მათ შორის სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა აწარმოოს გენდერული საკითხების კვლევები. მართალია ქვეყნდება ანგარიშები, მაგრამ ინფორმაცია უფრო მდიდარი და განახლებული შეიძლება იყოს.

ანგარიშზე მუშაობდნენ

ანნა ქათამიძე

მადონა კოტია

თენგიზ ჯოხაძე

სტილისტ-რედაქტორი

ქეთევან ფაცაცია

A Y E G
საქართველოს ახალგაზრდა
ეკონომისტთა ასოციაცია